



ბრძოლა

ყოველთვიური ორგანო საქ. სფგ.-დემ. || «LA LUTTE» — Revue mensuelle du
მუშ. პარტ. სახელმწიფოთელ ბიუროსი || Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 3 ფრ. | პარიზი, დეკემბერი 1925. № 6. Paris, Décembre 1925. [Prix 3 Fr.

1725
1925

ჩ ვ ე ნ ი ტ ა ქ ი თ ა . II.

საბჭოთა არსებული წყობილება, როგორც ვთქვით, უნდა დაინგრას მისი შინა-განი წინააღმდეგობით, მისი ბუნებრივი შეუძლებლობით. ისტორიაში არა ერთხელ მომხდარა დიდი ქარიშხალით ძველის დანგრევა, სრულიად ახალი წყობილების დაარსება და მისი მოკლე დროში დარღვევა. საქმარისა გაეხსენოთ გერმანიის გლეხთა ომები, ტომას მიუნცერის რევოლუციური ხელისუფლება და სხვ. რომლის ვერც ერთი პრინციპი ვერ გატარდა. რატომ? იმიტომ, ამბობს პლენანოვი ერთ ალავს, რომ ძველი სახელმწიფოების დამარცხებასთან ერთად არ დამარცხებულა მისი საწარმოვო წესები, ახალი ბატონები არ ყოფილან ახალ საწარმოვო ძალთა მატარებელი და მასთანადე არც მათი გამოარჯევა იყო რევოლუციური. პირიქით, ბურჟუაზიის მოძრაობა ქალაქებში და ახალი უფლებების მის მიერ დაპყრობა ნიშნავდა უდიდეს რევოლუციურ აქტს, ვინაიდან ამ კლასთან ერთად გაბატონდა შრომის ახალი ფორმა, რაკი ბოლშევიკურ წყობილებამ ვერ გააუქმა ვერც ერთი კაპიტალისტური საფუძველი—ვერც პროლეტარიატი და ვერც ინდივიდუალური წარმოება—ცხადია ის უნდა გაქრეს და პოლიტიკური შენობა შეეგუოს თავის ეკონომიურ საფუძველს. ამ მსვლელობის აუცილებლობაში დღეს აღარავინაა დაქუცვებული, გარდა ურა-კომუნისტებისა. ამათი გონიერი ნაწილი ძლიერ კარგათ ხედავს თავის მომავალს და მხოლოდ იმის ცდაშია—ეს მომავალი უმტკივნეულოთ გადაიტანოს. ამაში მათ მხარს უმშენებენ მრავალი არა კომუნისტებიც, ხშირათ მოწინააღმდეგენიც. რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტია ფიქრობს რუსეთის გამოყვანას საბჭოთა რეჟიმიდან უკატასტროფოთ, ევოლუციური გზით. ეს აზრი პოულობს გამოძახილს ინტერნაციონალშიც.

და აი ისმება საკითხი: საბჭოთა ხელისუფლება დაეცემა რევოლუციური თუ ევოლუციური საშუალებებით? პირველი გზა მოითხოვს აჯანყების ტაქტიკას, მეორე შეწყობის ტაქტიკას—ამბობენ მშვიდობიანობის მოტრფილენი. ნამდვილათ კი, არც ეს ალტერნატივა და არც ეს დასკვნა სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს, გარემოებათა რეალურ მსვლელობას. ევოლუციის და რევოლუციის შორის არ არის არც პრინციპიალური, არც პოლიტიკური დაპირდაპირება. ევოლუციუთა თავდება რევოლუციით, რევოლუციუთა თავდება ევოლუციით. ისინი ერთიმეორეში გადადიან, ერთიმეორეს გზას უწაღდვენ და ავსებენ.

უეჭველია ბოლშევიკები განიცდიან ევოლუციას, აკეთებენ მრავალ დათმობებს მატერიალურ სფეროში. ჯერ მათ დააბეს კაცი და ნივთი, ახლა უკანასკნელი რამდენიმე თუ შევს, იძულებული ხდებიან კიდევ უფრო აუშვან და ეკონომიური სარბიელი ხალხს გაუფართოონ. მაგრამ პოლიტიკაში არ ხდება არავითარი დათმობა, ადამიანი ისევ მიკრულია ჩეკაზე და პოლიციაზე. აქ მეორდება მეფეთა ახლო წარსული, არავითარი ახალი ამ ევოლუციუთაშიც ბოლშევიკებს არ გამოუგონიათ. ყველა განწირული წყობილება ამ გზით მიდიოდა და მიდის დღესაც.

მაგრამ, ვთქვით, მოხდა სასწაული, ბოლშევიკებმა დათმეს პოლიტიკაშიც, აღიარეს ხალხის სუვერენიტეტი. ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა არა ევოლუციუთა, არამედ რევოლუციუთა, ვინაიდან, უფლებამყარილი კლასი თუ კლასები ბატონდებიან. ე. ი. კომუნისტური პარტია კარგავს პოლიტიკური სადავის მონაპოლიას, თვითმპყრობე-

საქართველოს
კავშირები

ლობას და მის ალაგს იჭერს ხალხი. აი ასეთი ცვლილება, იქნება ის სისხლით თუ უსისხლოთ, ნიშნავს რევოლუციურ გადატეხას, საზოგადოებრივ ნახტომს, საიდანაც იწყება ახალი წესწყობილება.

რაკი საბჭოთა წყობილების არსებობა შეუძლებელია, რაკი ის დასარდვევია, ცხადია, თვით დარღვევის პროცესი იწარმოებს ერთათ ერთი არსებული მიმართულებით—ევოლუციით და რევოლუციით. ამიტომ ტაქტიკა—აჯანყება თუ მშვიდობიანობა, იარაღი თუ პროპაგანდა ფუჭი ოცნების ნაყოფია. თვითეული კონკრეტული მდგომარეობა იძლევა მოქმედების გეგმას. ხოლო მდგომარეობა კი იცვლება უჩვენოთ, სოციალისტურ ძალთა უიდიოთ, რაიცა იწვევს მოქმედების სხვადასხვაობას. საქართველოს დღევანდელ პირობებში ჩვენი ტაქტიკა ერთია—ხალხის დაყენება სოციალ-დემოკრატიის იდეურ სფეროში, მისი რიგების პოლიტიკურათ დაწყობა ჩვენი პარტიის გარეშე, ჩვენი დროშის ქვეშ. ამ გზით მომზადებული ხალხი ვადამწყვეტ მომენტში სარბიელზე გამოვა, როგორც ერთი შეგნებული მთელი და თავის თავს დაეპატრონება იმ საშუალებებით, რომელსაც იმ დროს აუცილებლობა უკარნახებს. მაშასადამე, ჩვენ ახლა თავს ნუ ვიმტრევთ იმაზე, რა საშუალებები იქნება ეს. იარაღი, აჯანყება თუ უსისხლო რევოლუცია. ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ ორი რამ: ამ რევოლუციის უშეველობა და ხალხის პოლიტიკურათ მომზადება.

როგორც ხედავთ, ჩვენი დღევანდელი მოქმედება იფარგლება პოლიტიკური მუშაობით, იდეური და ორგანიზაციული წინამძღოლობით. რა შინაარსის უნდა იყოს ეს მუშაობა? რა სოციალურ-პოლიტიკური სარჩული დავუდევთ ერის განთავისუფლებას?

ჩვენი სოციალური პოლიტიკა სახესებით აგებულია ჩვენს სოციალისტურ მსოფლმხედველობაზე და პირდაპირ ეწინააღმდეგება ბოლშევიკურს. უკანასკნელის საფუძველია საწარმოო ძალთა დაუძლეუბა და წარმოების სახელმწიფოს ხელში მოთავსება. ჩვენ კი, პირიქით, მივიღებთ საწარმოო ძალთა გაძლიერებისა და წარმოების საზოგადოების ხელში გადასვლისაკენ. საზოგადოება და არა სახელმწიფო, თავისუფალი მოქალაქეთა ასოციაცია და არა ბიუროკრატია და პოლიცია—აი ჩვენი სახელმძღვანელო დედა-აზრი. თანახმათ ამისა ჩვენთვის მისაღებია ყველა ის ეკონომიური ფორმა, რომელიც კი წინ გავაჯანყებთ ამ ორი მთავარი მიზნისაკენ. რა ფორმებია ეს?

უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში საწარმოო ძალთა განვითარება, მრეწველობის აღორძინება, ბუნებრივი სიმდიდრის საფუძვლიანათ დამუშავება და მისი ხალხისათვის მოხმარა—ერის მთავარი საზრუნავი საგანია. ეს კი შესაძლებელია ადამიანის თავისუფალი ინიციატივის აშვებით, საზოგადო და სახელმწიფო ორგანოების კერძო თაოსნობის გვერდზე თანასწორ პირობებში ამუშავებით. პირველის აღკვეთა ქმნის ბოლშევიკურ ეკონომიკას, მეორის აკვეთა—წმინდა ბურჟუაზიულს, ხოლო ორივეს ერთათ შეერტება და ერთ ნაციონალურ ფარგლოში მოთავსება იძლევა სოციალურ და დემოკრატიულ ეკონომიკას. სოციალურს იმიტომ, რომ, ძლიერდება რა საწარმოო ძალა, იმავე დროს საზოგადოების, ხალხის ჯიბეში გადადის მისი მოგების დიდი ნაწილი, დემოკრატიულს იმიტომ, რომ ეს პროცესი წარმოებს დემოკრატიული წყობილების მფარველობით, პოლიტიკურ უფლებათა მოქალაქეთა შორის თანასწორათ განაწილებით.

რაკი ერთხელ ბოლშევიკებმა თავისი კომუნისტური ეკონომიკა ნეპით შეანგრირეს. ყოველივე პრინციპიალური ნიადაგი დაეკარგათ და დღეს მხოლოდ უბრალო მიზანშეწონილობით ხელმძღვანელობენ, ე. ი. რა გააძლიერებს მათ ხელისუფლებას და რა დაასუსტებს. ამ უპრინციპობით აიხსნება ის საოცარი გარემოება, რომ ჩვენი ერის მთავარი სიმდიდრე—შავი ქვა—უცხო კაპიტალს გადაუდგეს ჩალის ფასათ და თვითონ საწვრიმალე ჩხირკვედლობით კმაყოფილდებიან. მილიონები კერძო კაპიტალს, გოლშეტი საზოგადოებას—აი მთელი მათი სოციალური ავლადიდება. სოციალ-დემოკრატია ამ ავანტიურისტულ პოლიტიკას უპირდაპირებს გარკვეულ, საღ დებულებას: ერის სიმდიდრის დამუშავება კერძო კაპიტალის მონაწილეობით საზოგადოებასთან ერთათ. დამოუკიდებელ საქართველოს სოციალური პოლიტიკა უნდა იქნას აღდგენილი და მის გარეშე ფართე პროპაგანდა გაწეულ. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური არარაობიდან გამოყვანა და მისი ევროპულ ქვეყანასთან გათანასწორება. ხოლო ეკონომიური აღორძინება—ერთათ ერთი ნიადაგია კლასების გაძლიერების და შიტი ინტერესების სათანადოთ დაცვის.



აი ასეთ სოციალურ პოლიტიკის ფარგლებში შესაძლებელია იწარმოვოს მუშათა, გლეხთა და მოქალაქეთა ფართე პოლიტიკამ. თანამედროვე სოციალიზმის ანბანი — მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა — უნდა გადაიქცეს ცოცხალ მოვლენათ, უფლებრივად და ორგანიზაციულად ამუშავებულ პრაქტიკათ. პროლეტარიატი დღეს გამოცხადებულია ოპკის საგნათ, რომელსაც ბოლშევიკები პირში ლოკმას უდღეს და ძიძაობენ. მისი ამ ოპკიდან გამოსვლა და თავისთავის სრულწლოვნათ აღიარება — წინასწარი პირობაა მისი აღორძინების და დამოუკიდებელი კლასიური მოძრაობის დაწყების. ეს წინეთ საკმაოდ ცნობილი პროლეტარული პოლიტიკა დღეს უკვე კარავს მუშათა ერთ ნაწილში ნიადაგს და მის ალაგას ბატონდება ძიძაობის პოლიტიკა. ეგრეთ წოდებული «მუშათა კომისიის» დეკლარაცია უტყუარი საბუთია მის ავტორთა მიერ პროლეტარულ სულისკვთების დაკარგვის და ბოლშევიკურ ორროფეხაზე შედგომის. მათი აზრით მუშათა ჩაბმა ამა თუ იმ საპასუხისმეებლო მუშაობაში უკვე «სოციალისტური აღმშენებლობაა», ნამდვილათ კი ეს მხოლოდ მათი გამოშორებაა ხალხის ფართო მასიდან და პრივილეგიურ ჯგუფათ გადაქცევა. ერთ ცნობილ ბოლშევიკ მუშას უთქვამს — მე უკვე მივაღწიე სოციალიზმს, ორი ძროხა მყავს და პიანინოც მიდგია! აი ეს «ორი ძროხის და პიანინოს» სოციალიზმი მეტათ მოედეს პროლეტარიატის მაღალ ფენას, გაჩინოვნიკებულ მუშათა წრეებს და ის ჩეკის მფარველობით პოლიტიკურ სიკვდილს უქადის მთელ კლასს. სოციალ-დემოკრატის წმინდა ვალია შეებრძოლოს ამ გათანხრობას, შეამაგროს მუშათა მასა კლასიურ ნიადაგზე და მისგან მოკვეთოს დაცემული, დეკლასიური ელემენტები. მხოლოდ გაერთიანებულ მებრძოლ პროლეტარიატს შეუძლია შეინარჩუნოს გლეხობის წინამძღოლობა და საერთო მიზნისკენ მისი მიმართვა. როგორც კი ის პრივილეგიურ და ბიუროკრატულ წრეებთ დანაწილდება, მაშინვე მისი პრესტიჟი ხალხში დაცემა და ხიდი მათ შორის დაიხრავა. რუსეთის გლეხობის დღევანდელი მტრობა ქალაქებისადმი უმთავრესათ ამ ნიადაგზეა აღმოცენებული.

მუშათა ერთი ნაწილის ბატონათ მოვლინება მათ მიიღეს მთელი პროლეტარიატის გლეხობაზე გაბატონებათ და აქედან შესაფერი დასკვნები გააკეთეს. საქართველოში ეს ანტაგონიზმი დღემდე უცნობი იყო, მხოლოდ ახლათ შესაძლებელი მისი ჩვენში გადმონერგვა ძამანაშვილისებურ მუშათა წყალობით. ამით ისტორიულათ შემუშავებული ქართველ მუშათა და გლეხთა ერთი ფრონტი დაირღვევა და მით დასუსტდება ერის პოლიტიკური სხეული.

ამნაირათ, ბრძოლა მუშათა ჯგუფურ პოლიტიკასთან, მათი კერძო ინტერესების მასის ინტერესებზე მაღლა დაყენებასთან, მათ სამრწველო და ჩინოვნიკურ ნაცარქეჩიაობასთან — და ყველა ამის ალაგას წამოყენება კლასიური პოლიტიკის, მთელის ინტერესის, დაკავშირების და მასთან პირში და ლხინში განუყოფლობის — აი საქართველოს სოციალ-დემოკრატის პროლეტარული პოლიტიკა მიმდინარე მომენტში. ეს არის ძირითადი საკითხი თვით მუშათა კლასის პოლიტიკური არსებობისა, მის მიერ დამოუკიდებლობის და მთლიანობის შენარჩუნების. აი აქ წყდება მისი ბედი დიდი ხნით — დაკარავს ის 30 წლის მუშაობით მოპოვებულ მეთაურობას, თუ მოიპრის დასენიანებულ ნაწილებს და განაგრძობს თავის ისტორიულ გზას. გზას ბრძოლის და თავისუფლების.

ყველა დანარჩენი მუშათა სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნილებანი წერილობანია ამ დიდ პრობლემასთან შედარებით. მებრძოლი კლასი მოიპოვებს გამარჯვებას, დაცემული კლასი განიცდის მუდმივ დამარცხებას. მაგრამ ეს მოთხოვნილებანი იმავე დროს შეიცავენ საშუალებათ პროლეტარიატის გასამაგრებლათ და ბრძოლაში ჩასაბმელათ. პროლეტარიატის ეკონომიური გაჯირვება და პოლიტიკური უუფლებობა ერთათ ერთი ფარხმალია ბოლშევიკური ტირანიის და მისი ამყოლი მუშათა «ჯგუფუნიზმს» წინააღმდეგ მიმართული. აი აქ, ამ ხანზე უნდა მოხდეს გათიშვა პროლეტარიატის და მის ორგულ წევრთა შორის. მაშასადამე, ბრძოლა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და პოლიტიკური უფლების მოპოვებისათვის იყო და რჩება ჩვენი ტაქტიკის მთავარ ღერძათ.

საბჭოთა წყობილება განსაკუთრებით ახგრავს გლეხის კეთილდღეობას. თვით ბოლშევიკების მოწმობით გლეხის მეურნეობა დაცემულია, ის აღარ ამუშავებს მიწას წინანდელი ხალისით და მუყაითობით. ამის მთავარი მიზეზია მათივე სიტყვით (იხ. კომ. ორჯონიკიძის მოხსენება) გლეხის საკუთრების გაუქმება.





ჩვენ მიწა ჩამოვართვით მემამულეს და მივეციტ გლეხს. ბოლშევიკებმა მიწა ჩამოართვეს გლეხს და მისცეს სახელმწიფოს. წინეთ ის იყო მემამულის მოიჯარადრე, ახლა ის სახელმწიფოს მოიჯარადრეა. ერთი ბატონი შესცვალა მეორემ. გლეხს ქონდა წინეთ თავისი კოლპერატივი, თავისუფალი და დამოუკიდებელი სავაჭრო ორგანიზაცია, რითაც თავის საშინაო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა. ბოლშევიკებმა წაართვეს ეს კოლპერატივი მას და გადასცეს თავის პარტიას, თავის სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელნიც სჭირან და კერვენ სურვილისამებრ. გლეხს არ გააჩნია არც საკუთარი მიწა, არც საკუთარი კოლპერატივი. გაუქმება ახალი მებატონეობის, ახალი ბიუროკრატიული კოლპერატივის და გლეხის ჩვენი დროის მდგომარეობის აღდგენა ერთათ-ერთი საგლევო მოთხოვნილებაა. გლეხის საწარმოვე ძალის გაძლიერება შეიძლება მიწის სრულ მის განკარგულებაში და მფლობელობაში გამოცხადებით. სოციალისმის მიზანს არავითარ შემთხვევაში არ არის გლეხისათვის მიწის წართმევა, გლეხური საკუთრების ძალით განსაზოგადოება. მით უფრო ქართველი გლეხის, რომელსაც მხოლოდ პარცელური საკუთრება გააჩნია და იძულებულია სამრეწველო მუშაობით დანაკლისი აინახაუროს. აქედან წარბოსდგება მისი დაინტერესება სამრეწველო აღორძინებაში, ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში. ის არის გლეხიც და მუშაც, სოფელიც და ქალაქელიც; ის სრული მოქალაქეა, რომლის მსგავს სხვა ქვეყანაში იშვიათთ შეხვდებით. როგორც მეურნე, ის საჭიროებს ბაზარს, ადგილობრივს და მსოფლიოს; აქედან მისი უარყოფითი დამოკიდებულება ბოლშევიკურ საშინაო და საგარეო სავაჭრო მონაპოლიებისადმი. თავისუფალი ბაზარი თავისუფალი კონკურენციით—აი მისი მთავარი მოთხოვნილება. ის არის ამავე დროს საფაბრიკო საქონლის მუშტარი. აქედან მისი უარყოფითი დამოკიდებულება ბოლშევიკურ სამრეწველო მონაპოლიის და საქონლის გაძვირებისადმი. ერთი სიტყვით, გლეხი მთელი თავისი არსებით ეპირდაპირება არსებულ წყობილებას. აქ კომპარომისი, ზავი შეუძლებელია. ქართველი გლეხი დღესაც ისეთივე სათავეა ქვეყნის ოპოზიციური განწყობილების, როგორც იყო წინეთ, მეფეთა დროს. ის ერთნაირათ უარსყოფს პომეშიკურ და ბოლშევიკურ წყობილებას. ვინაიდან სამრეწველო მუშა მოდის სოფლიდან, გლეხობიდან, ცხადია ის ქალაქშიაც თან მოიტანს თავის პოლიტიკურ სულისკვეთებას და დიქუერს ადგილს გაბოლშევიკებულ მუშებისას. პროლეტარიატის მთლიანობას მოწინავე გლეხი ხელს შეუწყობს.

ამნაირათ, მიწის კერძო საკუთრება. სავაჭრო-სამრეწველო მოქმედების თავისუფლება, წარმოების განვითარება, სამეურნეო ბაზრის და სამუშაოს უზრუნველყოფა—აი მთავარი საგლევო ეკონომიური მოთხოვნილება.

მისი პოლიტიკური და უფლებრივი მოთხოვნილებანი არ განსხვავდებიან დანარჩენ მოქალაქეთა ასეთსავე მოთხოვნილებებისაგან. დემოკრატია შეიცავს მთელ საზოგადოებას, მთელ ერს გამოუტყლებლივ. ბოლშევიკებმა ძველი რეჟიმის წოდებრივი პრიციპი თავისათ გამოაცხადეს. მხოლოდ ის მხოლოდ და ახნაურულ უფლებების მაგიერ, მუშა-გლეხის უფლება წამოაყენეს. მარა ნამდვილათ, ორივე შემთხვევაში არც ერთ ამ წოდებას, თუ კლასს, არავითარი რეალური უფლება არ ქონებია და არ აქვს, ვინაიდან ორივე დესპოტიის საფუძველზეა აგებული. ხოლო დესპოტია კი ყველას უფლებას თვით პატრონობს. აი ამ წოდებრივ უფლება-უპირატესობას ეპირდაპირება დემოკრატიული თანასწორობა და თავისუფლება. ამ მხრით ჩვენი ტაქტიკა უცვლელია.

როგორც ხედავთ, ერთი მხრით ვიბრძვით ყოველდღიური მოთხოვნილებების, კერძო საკითხების ირგვლივ ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ხოლო მეორე მხრით ყველა ამ საკითხებს ვუკავშირებთ მოძრაობის მიზანს, ძირითად პოლიტიკურ, ნაციონალურ და ეკონომიურ პრობლემას. არავითარი რეალური გაუმჯობესება ხალხს არ ძალუძს არსებული რეჟიმის ფარგლებში, მხოლოდ მისი დამხსნერევა იძლევა ფართო გამოსავალს, შესაფერ საშუალებას ცხოვრების შეცვლის და გაუკეთებისათვის. ყველა პოზიცია, იქნება ის კულტურულ-ეკონომიური, საზოგადოებრივი თუ სხვა, ჩვენი ამხანაგების თუ თანამგრძობთა მიერ მოპოვებული, უნდა გადაიქცეს იარაღათ სახალხო საქმის წინ წასაწევთ, პარტია შედის ყველა წრეში, ყველა დაწესებულებებში, გარდა რასაკვირველია პოლიციურისა და პოლიტიკურათ პასუხისმგებელ პოსტისა და შეაქვს იქ თავისი აზრი, თავისი მუშაობა, თავისი დროშა. ამ ბოლო დროს, ბოლშევიკების გადმოცემით იზრდება ხალხის აქტიობა, მისი ჩარევა საბჭოთა

საქმეებში. ცხადია, ეს მას ეჭირვება, ამ გზით ფიქრობს მძიმე ტვირთი შეიმსუბუქოს. ოდნავათ მაინც. პარტია მიყვება ხალხს ყოველგან, სადაც ის მიდის, უხსნის და უკარნახებს მოქმედებას, პასუხს აძლევს ყველა საჭირობორბო საკითხზე, არ ტოვებს არას შემთხვევაში უწინამძღვროთ დაბნეულობის და მტურთა ამართ. თვითეული ასეთი გამოსვლა ხალხს დაანახებს მთელ მოჯადოებულს წრეს, რომელიც მას გასაქანს არ აძლევს და ეს მასში განამტკიცებს ოპოზიციურ განწყობილებას.

რა ტაქტიკა უნდა ვაწარმოოთ ბოლშევიზმის დაცემის ხანაში? ეს დამოკიდებულია ამ დაცემის ფორმებიდან. ყველა შემთხვევაში ერთი ძირითადი მოქმედება სავალდებულოა—საქართველოს აღგომა და დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება. ყველა შემდეგი ნაბიჯი დაექვემდებარება ამ რესპუბლიკის დაცვის საჭიროებას და ამ მიზნით კავკასიაში, რუსეთში და ევროპაში მოკავშირეთა მოძებნას. თავისთავათ ცხადია, რომ ქართველ ხალხს არაფერი აქვს სადაო და საომარი რუსეთის ხალხთან, რომელიც თვითონ იტანჯება საბჭოთა ტირანიით. რუსეთს არ აქვს არც ერთი ნამდვილი ინტერესი, რომლის შეთავსება არ შეიძლებოდეს საქართველოს დამოუკიდებლობასთან. მოლაპარაკების და თანასწორობის ნიადაგზე ყველა უთანხმოება ადვილათ ამოიწურება. მარა ეს კიდევ არ ნიშნავს ჩვენი თავისუფლების შესაძლებლობას რუსეთის ყოველგვარ წყობილებების გვერდით. ამიტომ ჩვენთვის უდიდესი საკითხია ის, თუ ვინ იქნება ბოლშევიკების მემკვიდრე—პომეშიკიური რეაქცია, დემოკრატია თუ ნეპმანური ბონაპარტული ბატონობა. ამ სამში ერთათ ერთი რადიკალური დემოკრატია საერთაშორისო დემოკრატიის დახმარებით იძლევა შესაძლებლობას შინაგანი ძალებით დამოუკიდებლობა შევიწარმოოთ. პირველი ჩვენი ისეთივე მტურია, როგორც ბოლშევიკები, ესენი ერთი ხის ნაყოფია და ჩვენს მიმართ ერთათ ვარდებიან. მათთან საერთო არაფერი ვერაქვს. მესამე ფორმის წყობილებაში შეიძლება ჩვენი სუვერენიტეტის შერჩენა გარეშე ძალის შემწეობით, ძალის არა სამხედროს, არამედ დიპლომატიურის და ფინანსიურის. მოსკოვის ბურჟუაზიული ბონაპარტიზმი უვერობათ ფეხს ვერ აიდგამს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ტაქტიკა არსებული რეჟიმის გადატების ხანაში დემორჩილება ჩვენს მთავარ მოთხოვნილებას—საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას და ამის შესაფერათ მოხდება მისი მიხვრა-მოხვრა.

აი ამ რწმენით, ამ მუშაობით, ამ ტაქტიკით ქართველი სოც.-დემოკრატია მიზანს მიაღწევს, ქართველი ხალხი დაკარგულ უფლებას მოიპოვებს, საქართველო წართმეულ თავისუფლებას დაიბრუნებს...

ნ. ქ.

ბ ა ვ ვ რ ი თ.

საქართველოს ბოროტი სული ფ. მახარაძე საიუბილეოთ ამეტყველდა. თავის მიერ საქართველოს რუსის ჯარით დაპყრობას დიდ ქებათა-ქებას ასხამს და საყოველთაოთ აცხადებს: «არც ერთ დიდ რევოლუციას არ მოუხდენია ხალხის სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობაში ისეთი ძირითადი და ღრმა ცვლილებები» რომელიც ჩვენში ოქტომბრისტებს მოუხდენიათ. (კომ. № 257). რა ცვლილებაა ეს? ვეტორი ედება ლობე-ყორეს, ეძებს ამ «ძირითად» რეფორმას, და დიდის ოფლის ღვრით დაასახელა ერთათ-ერთი—აეჭვალის პიდრო-ელექტრონული სადგური! ბ. ფილიპეს იმითომ დაუნგრევია თავისუფალი საქართველო, რომ აეშენებია ერთი სადგური! ისიც ჯერ კიდევ არ არის დათავებული და კაცმა არ იცის, მისგან რა გამოვა. ამ ერთ საქმეში მას უეჭველათ დაეჯერება, ის ხალხს უეშვარიტებას ლაპარაკობს—ოთხი წლის საბჭოთა მუშაობამ მოგვცა აეჭვალის დაუმთავრებელი «ელექტროფიკაცია»-ო! ამ «ძირითადი ცვლილებისათვის» საჭირო აღმოჩნდა საქართველოს დაპყრობა, სისხლის გუბეთა დაყენება... ბ. მახარაძეს ერთი სიმართლე წამოცდა, თუმცა ეს «სიმართლეც» საშინლათ გააზვიადა. მისი აზრით «სოციალისტური აღმშენებლობა» სწორეთ აეჭვალაში იწყება და იქიდან ეს ბედნიერება ედება მთელ საქართველოს, პირველ ყოვლისა თფილისის მუშებს. «ამას მხოლოდ ბრმა ვერ შეამჩნევს» ჯავრობს ფილიპე. სწორეთ გასაჯავრებე-

ლია, ავჯალის სასწაული არავის სწამს, «ძირითად რევოლუციას» მასში ვერავენ და ნახავს და ვინც მას არ დაუჯერებს, ის რასაკვირელია «კონტრ-რევოლუციონერი». ამ ტმეტარაკანის მოციქულს, რომელსაც გარდა თავის ტმეტარაკანისა არაფერი უნახავს, უნდა მოვასხნოთ, რომ ავჯალისთანა სადგური ყოველ ფეხის ნაბიჯზეც ამ «ბურჟუაზიულ» ევროპაში და წარმოადგინეთ მას «ძირითადი ცვლილება» მაინც არ მოუხდენია. მართალია, ერთხელ აქაც იყვენ ფილიპესთანა «ეკონომისტები» და მისებურათ ასაღებდენ თავის ბატონობას, მარა მას შემდეგ დიდი ხანია, ხალხი დაჰკვიანდა და გაბატონებულთა ტრაბახობის აღარაფერი სწამთ. კიდევ კარგი, რომ ქართველი მახარაძე ბოლოს სინანულს შეუპყრია, გახსენებია—ეს რა სიბირიყვე წამოვროშეო და კენი მოუბრუნებია:

«ვინ ამბობს, რომ რაც კეთდება, ის საკმარისია, აქმაყოფილებს მშრომელ ხალხს... განა ჩვენ არ ვიცით, რომ ბიუროკრატიულ უსულგულობას, სიწამსდრეს, მედიდურობას და ყოყრობას ჯერ კიდევ აქვს ადგილი საბჭოთა დაწესებულებებში, რომ ხშირია ბოროტმოქმედებთა შემთხვევები პასუხისმგებელ პირებისგანაც კი» და სხვ.

ასეთი თავიუღლით შეამკო მახარაძემ საბჭოთა იუბილე! და ასე ის აპარატი, რომელიც მახარაძემ მოსკოვიდან ომით შემოგვძღვნა, როგორც ხელის-ხელ საგომანო მარგალიტი, გამოდა ბუდე სიწამსდრის, უსულგულობის, ბოროტმოქმედების—ერთიმეორეზე მძიმე ცოდვების. მას არ აქვს იმდენი გამბედაობა, რომ თქვას—ჩაბარდეს ეს ღუშტირი თავის პატრონს, აირჩიოს ხალხმა თავისი «დაწესებულება», როგორც სურს. ამას ვერ ბედავს და კარგათაც შერება, ვინაიდან თავს ამოაყოფიებენ იქ. სადაც «მკარბი ხბოებს ერეკებოდა», რაც მას არაფრათ ეპიტნავება ამ სიბერის დროს. მისი წირვა გლახათ გამოიწირა: ემსახუროს მოსკოვს და იმავე დროს მასში დაეკვებულე იყოს, მეტანია უკეთოს ბატონთ და იმავე დროს ეარშიყოს ყმებსაც. უმზავსო კაცი უმზავსოთა ათავებს.

მახარაძეებს უკვე აუჯანყდა ერთი მისი «რუსეთუმე» დაწესებულება—აჭარის-ტანის საბჭო. მას გადაუწყვეტია—მოდი ერთი თავი გამოვიძვრინო თფილისის შინა-ყმობისაგან და პირდაპირ მათ ბატონებთან დავიქირო საქმეო. ხიმშიაშვილიც გადაჩაქურდა, ხმალ-კაპარუი მოიმაძაღურა და ტყეე გავარდა. შეინძრა თფილისის თფილი უაობი, აყაყანდა ყველა მისი ბინადარი ვველ-ბაყაყები და გულის ხეთით ჩავარდნილან ბათუმში. თასიმ-ბეი ხელათ გადმოჩაქურდა, სათამაშო ფიშტო ხელიდან გაავდო და ჯავრი იყარა... მენშევიკებზე. ახია სწორეთ ამათზე, ეს გულადი ყმაწვილი ბათუმიდან მირბოდა თავის მტრევეით, როგორც კი ბოლშევიკები ქალაქს მოუხლოვდენ, და მხოლოდ ერთი მენშევიკის რჩევით და მფარველობით დარჩა. თორემ ახლა იქნებოდა ის ოსმალეთში «კონტრ-რევოლუციონერი» მენშევიკების ქებაში და ბოლშევიკების წყევალ-კრულვაში. ასეთი «გმირის» წიხლი ვის ეწყობება და თუ აქ ავლაპარაკდით ამ საგანზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ ნათელყვოთ ოკუპანტების «კაი კაცობა». ისე ჩინებულათ განაგებენ ჩვენ ქვეყანას, რომ თვითეული მისი ნაწილი ტყეში იყურება, საით გავიქცეო. ჯერ ახნაზეთი, მას მიყვა სამეგრელო, ახლა აჭარა, შემდეგ ალბათ ჯერი მიდგება გურიაზე, იმერეთზე, სვანეთზე—ერთი სიტყვით აღარავის სურს მახარაძის ქვეშევრდომობა. ასეთია საბჭოთა საქართველოს «ნაციონალური აღორძინება», რაც ძამანაშვილის კომისიან დიდის ზეიმით გვაუწყა.

ეს კომისიაც, როგორც იყო დაიშალა მას შემდეგ, რაც II ათასი კვდარი სული თავის დაუთარში ჩაიწერა და ძამანაშვილს კომისიის სავარძელი მოუპოვა. ალბათ მისი ერთგული მიმდევრებიც არ დარჩებოდენ სუფრის გარეთ: კუპრაშვილები, კოპლატაძეები და ძმანი მათინ ახლა მაინც მოისვენებენ, «მენშევიზმის» დასანგრევათ დროც აღარ ექნებათ შემკულ ბაჯაზე დაბმულთ, მშვიდობიანი ცოხნი გატაცებულთ. მენშევიზმი ბევრ ხალხს აძლევს საუმელს. ვინ გინდა, რომ მისი შემწეობით არ იკვებებოდეს? როგორც კი ვინმეს მოსწყინდება პატიოსანი შრომა, მაშინვე შეუდგება ჩვენ «განადგურებას» და ხელათ მიიღებს საკენკს. ძამანაშვილის «საკენკის კომისია» ერთობ ივიწყებს თავის «ბედნიერების» სათავეს, მას ახლა აღარ ესაჭიროება მენშევიზმი და ამიტომ აცხადებს: არ დავგიძახოთ ყოფილი მენშევიკი, არამედ ახალი გწელიო! ეს კიდევ არაფერი; მენშევიზმის გავრცელებზე კრუანტელი გვივლის ტანშიო—უმატებენ ეს საკენკის გზის მაძიებელნი! (კომ. № 252). აი ეს კი მართალია, რა აქებ სამინშევიკო,



საბრძოლველი, თავს სამტრედიო, პირდაპირ გამზადებული მოერთმევით. მასწავლებლის მშვიდობის გახსნება არაფრით ეპიტანება, მოგვსენებათ. ეს «ახალი გზა» კი სწორეთ მისწრებაა, კომისრობისაყენ მიდის ჯიქურ, მიუხევე-მოუხეველათ. და ასე აპიერიდან ყოფილი მენშევიკი ხდება ახალი გზელი, საიდანაც პირდაპირ შედის ხართ საჯაო სასუფეველში...

ძამანაშვილის «საყენის კომისიამ» უკვე დაიშახურა თავისი ისტორიკოსი და ბიოგრაფი. აი ვინმე კახიანი, კაცი მეტათ ყბედი და, როგორც ამნაირი, სასარგებლო. მისი დანახებედი ერთობ დიდ სამსახურს გვიწევს და ამიტომ მისი ვარჯიშობის წინა-აღმდეგ არაფერი გვაქვს, დეე აესოს «კომუნისტი» ფელეტონებით. მას უყვარს წესის აგება, «საყენის კომისია» ჯერ აქო, მერე დაასამარა—მენშევიზმის ლიკვიდაცია ვერ მოახდინა, რა თავში ვიხალთო. შემდეგ წესი აუგო დეედარიანს, ეს «შინაური ემიგრანტია», ვაი რომ ვადაგვიჩაო. ალბათ სეთის ამბავი კარგათ იცის, ყოველ მუქარაზე კებს შეიბრუნებს და უკან-უკან დაიხვეს. არ შევაშინებთ, მის დაცვას სრულიად არ ფიქრობთ, პირიქით, სეთი ვერაფერი «შინაური ემიგრანტია», რალაც მეთე ხარისხოვანი შეიძლება იყოს. პირველ რიგებში კი დგანან კახიანები, მახარაძეები და ძმანი მათნი, ერთი სიტყვით მთელი ბოლშევიკური საქართველოს «შინაური ემიგრანტებია», და როგორც კი ქვეყანა ფეხზე წამოადგება—ეს ვაქბატონები მაშინვე «საგარეო ემიგრანტები» გახდებიან. შეიძლება დეედარიანიც გაყვეს მათ მაჩანჩალათ, მარა პირველ «ოზონში» კი კახიანები ვაიქცევიან. და აი ამ მოსკოვის გმირს შეუმჩნეველი ლავარდ ცაზე «ბრძოლის» აჩრდილი და შიგ ერთი «კორექტურული შეცდომა» აღმოუჩენია. ეს რა სოციალისტური ორგანოა, აშკარა ბურჟუაზიულია, თვარა ზედ დააწერდენ—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შერთიდითო! ასეთი დიდი კრიტიკოსი ყავს ჩეკის მენდრობას. მათ წარწერით სურთ თავისი რეაქცია სოციალისტობათ გაასაღონ. ეს ლომია, ძალი არ გეგონოსო—დიდი ხანა იძახიან ბოლშევიკები, მარა ამათ. ხოლო აქ, ვეროპაში, არც ერთ სოციალისტურ გამოცემას წარწერა არ აქვს და მხოლოდ შინაარსით ცნობილობენ მიმართულბას. ჩეკისტებს, რასაკვირველია, ამას ვერ მოვსთხოვთ, ხელში კეტი, თავში რეტი—აი მთელი მათი ფელადიდება.

ამ ავლადიდებთ აღივსენ ჩეკის სახლვარ-გარეთელი დარაჯები. ახლა აქ მათ «დიდ პოლიტიკას» აკეთებენ კაჩუნაშვილი, ხელაძე, ვეშაპელი და ძმანი მათნი. ამათ დიდი ქეიფი აქვთ გამართული. ეს არის ემიგრაცია ინგრევა, წყალი იმღვრევა და დამფრთხალ თეეზებს ბლომით დაევიურთო. ოქროთი მოქსავილი ბადებედი ბაგებულია და შიგ მსურველები ცვივიან. ამ ხანათ მებადურები დღესასწაულობენ პრაღის თეეზობას, კაჩუნაშვილები შიგ ერთთი მოყოლიან. მარა საკვირველია არა ეს მათი ამეყენისათვის აყოლა, არამედ მათი გაემიგრანტება. რა შუაშია, რას მობობდენ ვეროპაში, როდის იყვენ მებრძოლნი და პოლიტიკური ტვირთის ამტანი? თუ ვეშაპელ-კაჩუნაშვილები თვითმპყრობელობაშიაც თავს არხეინათ გრძობდენ, ორჯონიკიძეებმა რა დაუშავეს, გარდა მოფერებისა და საყენისა. ეს შემთხვევითი ემიგრანტები (ალბათ ვეროპაში გამოსეირნება სურდათ) ახლა დგებიან თავის კლაპოტში, «არსებული წყობლების» ნიადაგზე. ნაგავი მენავგის გოდორში გროვდება; რჩება წმინდა რევილიუციური ემიგრაცია, ბრძოლაში გამოცდილი და გამოცდილი. ყველა მებრძოლი პარტიების ემიგრაცია აი ასეთი ხალხისაგან შედგებოდა მუდამ, ყოველგან. და ეს ვეშაპელების «გაემიგრანტება» მათი აბნეულობის ნაყოფია. შიში მიჩვენე, გაქცევის გიჩვენებო და კიდევაც გამოქცენ. ახლა შიშმა გაუარათ და უკან მირბიან...

მირბიან და მიიმღერიან—ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო. მარა საქართველოში მინც არ ეჩქარებათ ამ ყმაწვილებს. იქ რა მოულის, კარგათ იციან, ჩეკის ქება და ხალხის წყევლა, ამიტომ წინდაწინ სურთ ნიადაგი მოამზადონ, რალაც იდეური მოტივები წამოაყენონ. აი მაგ. ვეშაპელი დიდათ ცდილობს თავი იმართლოს იმით, რომ მას ახრი არ გამოუცვლია, იყო და რჩება ნაციონალისტი. შეიძლება ის მართლა ნაციონალისტია, მარა ვისი—აი ეს კი საკითხავია. ნაციონალისტი ხომ ისეთ კაცს ეწოდება, რომელიც ფიქრობს თავის ერის უფლებების დაცვას, სხვა ერზე ვაბატონებასაკი, ვეშაპელი კი იცავს რუსეთის ვაბატონებას ქართველ ერზე, ესმარება უცხო ძალმომრეობას. ადასტურებს ოკუპაციას, ე. ი. აკეთებს ანტინაციონალურ საქმეს და იმავე დროს იძა-

ნის, მე ნაციონალისტი ვარ! ის თუ კიდევ ნაციონალისტი, ალბათ რუსეთის; საქართველოსთან რა ხელი აქვს? ქართველი ნაციონალისტების ბანაკი მან დატოვა და გადაბარდა ოკუპანტთა ბანაკში. რასაკვირელია, ჩვენთან კავშირში შეიძლება იყოს მოდგაწე ისე, რომ მენშევიკი არ ვახდეს, ვინაიდან აქ ანტისაბჭოთა პარტიების ფრონტი. მარა ბოლშევიკებთან ყოფნა შეიძლება მხოლოდ ორი მოსაზრებით: ან ბოლშევიკობის, ან «უამა-სმის» ღიდათ შესარგის». ვეშაპელები პირველს უარს ყოფენ, დარჩათ მეორე საბუთი და მის დასაცავათ ოფსს ღვრიან, ჭორებს-ჭორებზე აცხობენ. საწყალ ვეშაპელს სიტყვა დაღვია და რალაც ძველი—იყო და არა იყო—ამბავი დაუწყია. დ. ვაჩნაძემ ერთხელ, 17-ში, ნ. ჟორდანიას ეროვნული საბჭოსთვის 16 ათასი მან. გადასცა. არაფერი ამის მსგავსი, რასაკვირელია, არ ყოფილა. ჟორდანიას აქ რაშუაშია. შეიძლება ვაჩნაძემ მართლა შეიტანა რამე საბჭოს კასაში, რომლის ვალები შემდეგ ეროვნულ მთავრობამ გადაიხცა. და თუ ეს ფული არ გადაუხდია, ალბათ არც ვაჩნაძის ყოფილა. მუშათა საბჭოში ოცდაათი მილიონი ნამდვილი მანეთები იდვა, და ვაჩნაძის 16 ათასი ვის გააკვირვებდა. ასე დაელია ამბავი მოსკოვის ნაციონალისტ-ვეშაპელს! ყველა მის ჭორებს ვინ ჩამოთელის, «კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოდინდების».

P. S. ვეშაპელის ჭორის ფურცლის უკანასკნელი ნომერი სავსეა იმით, რაც ავტორისაგან მოსალოდნელი იყო. აშკარაა, ამ ვაუბატონს აღარ აკმაყოფილებს ის 30 ვერცხლი, რომელზედაც მან საქართველო გასცვალა და მოუნდომებია ახალ-ახალი «გასამჯელოს» მიღება: ჯერ გადმოუბეჭდია რუსულათ ჩიჩერინის ძველი, ბრიყვანი წერილი—აქა და ეხლა ის საფრანგეთშია. წაიკითხავს და ყურადღებას მომაქცევსო. შემდეგ შედგომია ადგილობრივი ჩიჩერინების გულის მოწადილებას, ორჯონიკიძის და ელიავას ქებათა ქებას; ბოლოს მოუხსნია თავი ტყუილების გულისათვის და ერთთად გადმოუყავს. ცნობილია, რომ ბოლშევიკების სამსახური არ შეიძლება სიმართლით, ამიტომ ვეშაპელის სამსახურის ჭორმულიარში მთავარი ადგილი უჭერია ამ ტყუილების გულას. ალბათ დეირობს—ბოლშევიკები მაინც კი დაიჯერებენ და მეტი არაფერი მინდაო. ის ჩამოქვეითებულა პოლიტიკურ ჯაშუშობამდე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის და დამფუძნებელი კრების ორგანოების შესახებ შეთხზული ჭორებით. აქამდე არც ერთი რენეგატი ჯერ კიდევ არ მისულა. გულს იკეთებს იმით, რომ ყველაფერი ეს მას შერჩება, ვინაიდან ბოლშევიკები და მენშევიკები ვერასოდეს მორიგდებიან და ჩვენც, რენეგატები, განცხრომაში ვიქნებითო. იუდა ისკარიოტელმა თავის 30 ვერცხლი გადაყარა და თავიც ჩამოიხრჩო. ვეშაპელ—ისკარიოტელი, რასაკვირელია, მის წინამორბედს არ მიბაძავს: პირიქით მას უკვე დაუწყია ინტერპარტიული დოკუმენტების გაყიდვა, ე. ი. სხვისი საკუთრების მოტაცებით ახალ-ახალი კაპიტალის შექმნა და ასე საცვლების ამარა ისტორიის წინაშე წარდგომა. გზა დაგვილოცია...

თანამედროვე იმპერიალიზმი და ერთა განთავისუფლება.

ლოკარნოს ხელშეკრულებით დასავლეთ და შუა ევროპის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. გერმანია შეურიგდა ელზას-ლორენის დაკარგვას და იცნო მსოფლიო ომითა და რევოლუციებით შექმნილი ახალი სახელმწიფონი, პირველ რიგში პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია. თანამედროვე ევროპა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად შენდება. ევროპის სტაბილიზაცია ფაქტია.

მაგრამ იმპერიალიზმი მაინც სულდგმულობს, მისი ბატონობა კვლავინდებურათ გრძელდება, მან გამოიკვალა თავისი სახე და რამდენიმეთ ასპარეზი. მიუხედავად ამისა იმპერიალიზმის კლანჭებს ჯერ კიდევ მწვავეთ გრძნობს კაცობრიობა.

რას წარმოადგენს ის? რას ეყრდნობა? საითკენ მიილტვის?

ომის წინანდელ ხნას პირველ რიგში გერმანია-რუსეთ-ავსტრიის იმპერიალიზმი ახასიათებდა. დაპყრობა უცხო ქვეყნების, პოლიტიკური დამონება ახალ-ახალი ერების—ამათი სამოქმედო გზა.

მსოფლიო ომში ეს სახელმწიფონი დამარცხდენ, ხოლო საერთოთ, ევროპა ეკო-



ნომიურად და ფინანსიურად დასუსტდა და მსოფლიოს მეთაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუთმო. არა ლონდონი, არამედ ნიუიორკი—აი მსოფლიო ბირჟის ცენტრი ამხანაო. ამერიკა საყოველთაო კრედიტორია. ევროპის ყველა გავლენიანი სახელმწიფო ვალდებულია 63 წლის განმავლობაში მას აურაცხელი ფულის სარგებელი აძლიოს. მარტო ინგლისმა წლიურად 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა უხადოს. შეერთებული შტატები დაეპატრონა ევროპის კონტინენტს და მომავალ თაობათა სიმდიდრეს და ის თავის საწველ ფურათ გადააქცია.

იბადება კითხვა: რა ახასიათებს ამერიკის საგარეო პოლიტიკას?

მისი მიზანია მსოფლიოს თავის გემოზე მოწყობა და ამ გზით ეკონომიურ ბატონობის განმტკიცება. მაგრამ ის ბატონობს არა ცეცხლითა და მახვილით, როგორც ამას სჩადიდენ ევროპის ძველი იმპერიალისტური სახელმწიფონი, არამედ პირველ რიგში ოქროთი. მილიტარიზმის ნაცვლათ მეფავნება—ასეთია მსოფლიოზე გაბატონების ახალი იარაღი. წინეთ ასეთ როლში გამოსვლას საფრანგეთი ლამობდა, მაგრამ ის ძლიერი იყო ფინანსიური კაპიტალით, ხოლო სუსტი სამრეწველო განვითარებით. ამერიკა ბატონობს ფინანსიურ კაპიტალის საშუალებით, ამავე დროს ის უძლეველია ინდუსტრიისა და სასოფლო მეურნეობის უაღრესი განვითარებით.

ეკონომია პოლიტიკის საფუძველია, სხვათა შორის საგარეო პოლიტიკისაც. მარტონია ამერიკამ უარყო პრეზიდენტ ვილსონის მიერ ხელმოწერილი ზავი, ზურგი აქცია ხალხთა ლიგას, ხოლო არსებითად ფეხდაფეხ მისდევს იმ პოლიტიკას, რაც ვილსონმა გაკვალა და რაც მის მიერ გამოცხადებულ ზავის პირობათა 14 მუხლში გამოიხატა. აქედან მეორე და მესამე მუხლი საზღვაო გზების თავისუფლებას და ყველა ერთთავის ვაჭრობის თანაწირობას ეხება, თანამედროვე ამერიკაც სამანდატო ქვეყნებში ღია ვაჭრებს მოითხოვს და არსებითად ეწინააღმდეგება საზღვაო გზების ჩაყეტვას, რასაც ინგლისი ეტრფის. მაგრამ ვილსონის პოლიტიკას პირველ ყოვლისა საყოველთაო განიარაღების მოთხოვნა ახასიათებს. ზავის პირობათა მეოთხე მუხლში ვკითხულობთ: «საჰიროა გარანტია და მისი ასრულება, რომ ხალხთა შეიარაღება შემცირებულ იქნეს იმ მინიმუმამდე, რაიცა აუცილებელია შინაურ მყუდროების უზრუნველსაყოფათ.» მას შემდეგ საყოველთაო განიარაღების საკითხი პრაქტიკულათაც დაისვა. ამით საკმაოდ გამოირკვა თანამედროვე იმპერიალიზმის ბუნება, რომლის იდეური მეთაურია განსვენებული პრეზიდენტი ვილსონი.

მილიტარიზმი აურაცხელ თანხებს მოითხოვს. ამით ევროპის ერთა კეთილდღეობა ირყევა და მას ამერიკის ვალის გადახდის შესაძლებლობა უფრო და უფრო ერთმევა. და აი მსოფლიო კრედიტორიც განიარაღებას მოითხოვს. ამ გზით მისი საგარეო ძალა-გავლენა კიდევ უფრო მტკიცდება. განიარაღება თავის მხრივ ხელს უწყობს ერთა განთავისუფლებას. ვილსონმა ეს პრინციპი მკაფიოდ წამოაყენა. 22 იანვარს 1917 წელს მან სენატს შემდეგი სიტყვებით მიმართა: «არავითარი ზავი არ იქნება მტკიცე და არც შეიძლება იყოს ასეთი, თუ ის არ აღიარებს იმ პრინციპს, რომ მთავრობათა კანონიერი მანდატი მოქალაქეთაგან გამომდინარეობს და ამიტომაც არავის არ აქვს უფლება ერი ერთი ბატონის ხელიდან მეორეს გადასცეს, როგორც უბრალო ნივთი». 11 იანვარს 1918 წ. მან განაცხადა: «ერის თვითგამორკვევა არ არის ლიტონი სიტყვა, არამედ სამოქმედო იმპერატიული პრინციპი».

ეს ფინანსიურ-ეკონომიური აუცილებლობა შეიქნა. მსოფლიო ომმა ფართოდ განავითარა კაპიტალის კონცენტრაცია. როგორც მოვიხსენიეთ, ამერიკა მსოფლიო კრედიტორი შეიქნა, ხოლო ეროვნული და ინტერნაციონალური ტრესტები მთელ ეკონომიურ ცხოვრებას ეპატრონებიან და მსოფლიოს თავის გემოზე აწყობენ. ამყამათ ყველაფერი იმისდა მიხედვით ფასდება, უწყობს თუ არა ის ხელს ახალ ეკონომიურ მდგომარეობის განმტკიცება-განვითარებას. და აი მსოფლიოს ახალი მეთაურები არა-საწარმოვო, პირველ რიგში სამხედრო ხარჯების შემცირებას ითხოვენ. მათი ინტერესია ერების ეკონომიური დამორჩილება და მათზე თავისი გავლენის განმტკიცება, არა თავის მოხელეთა მეოხებით ახალ ქვეყნების პოლიტიკური დამონება, არამედ მათთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება და სხვისი ხელით და ნაკლები ხარჯით ეკონომიურ უპირატესობის შენარჩუნება. ამიტომაც არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გადაპრით უარყოფს იმ კოლონიალურ ომებს, რასაც ამყამათ აზი-აფრიკაში აწარმოებენ.

გადაავლეთ თვლი მსოფლიოს და თქვენს თვალწინ ორი, ერთი-მეორის საწინა-

აღმდევო სურათი გადაიშლება. ერთი მხრივ დგას ამერიკა, დასავლეთი და შუა ევროპა, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა, ხოლო მეორე მხარეზე რუსეთის მიერ დამორჩილებული ქვეყნები, აზია და ჩრდილოეთი აფრიკა. პირველი თავისუფალ ერთა სარბიე-ლია. აქ საერთო მდგომარეობა მტკიცეა, ომის მიერ მიყენებული ჭრილობები საგრძნობლათ მოშუშდა და მშვიდობიან განვითარებას გზა გაკვალილი აქვს. ამავე დროს მსოფლიოს მეორე ნაწილი განიცდის ეროვნულ კონფლიქტებს, ერთა გამოღვიძებას და მათ ბრძოლას. ისინი ახალ კალაპოტს ეძებენ. დასავლეთის სტაბილიზაციას თანა სდევს აღმოსავლეთის არეულობა და ახალ ქარიშხლის მოლოდინი.

ვინ გაიმარჯვებს? რა სახეს მიიღებს ახლო მომავალში აღმოსავლეთი?

ლოკარნოს ხელშეკრულებით ძველი იმპერიალიზმი კიდევ უფრო სუსტდება, მას ნიადაგი ფეხქვეშ სულ უფრო და უფრო ეცლება. გერმანიის ხალხთა ლიგაში შესვლა მოასწავებს საყოველთაო განიარაღების მთელი სიგრძე-სიგანით წამოყენებას. თვით განიარაღებული გერმანია იძულებულია ერთა თანაწილობას გამოეცხადოს და მილიტარიზმის დამხობა საკუთარ საქმეთ გამოაცხადოს. როგორც ხედავთ ამერიკის გვერდით ძალაუნებურათ დგება ევროპის დიდი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ინდუსტრიისა და ალბ-მიცემობის განვითარებით, გერმანია-საფრანგეთის ახლანდელ სახლგერის უზრუნველყოფა მსოფლიოს ახალ საფუძველზე მოწყობის დასაბამი უნდა შეიქნეს.

ამას გრძნობენ არა მხოლოდ სოციალისტები, რომელნიც გადაჭრით მოითხოვენ ყველა ერთა განთავისუფლებას, როგორც ეს მკაფიოთ გამოთქვა მარსელის ინტერნაციონალურმა კონგრესმა, აგრეთვე ესარჩლებიან ხალხთა ლიგის უფლებათა გაფართოებას და სახელმწიფოთა შორის ყოველივე დავის სავალდებულო არბიტრაჟის გზით მოგვარებას ლამობენ. მსგავსი იდეა ფეხს ბურჟუაზიულ წრეებშიც იკიდებს. ამ მხრივ მეტათ დამახასიათებელია საფრანგეთის ფრანკ-მასონთა 1925 წლის ყრილობის დადგენილება. ისინი მოითხოვენ, რომ ხალხთა ლიგის წევრებს ირჩევდნ პარლამენტები; ლიგას უნდა მიეცეს უფლება ისარგებლოს ცალკე სახელმწიფოთა სამხედრო ძალებით თავის დადგენილებათა ასასრულებლათ; ლიგის ყველა დადგენილება უნდა დაუყოვნებლივ ასრულდეს ცალკე სახელმწიფოთა საკანონმდებლო ორგანოთა გარეშე. დასასრულ, უნდა გამომუშავდეს საერთაშორისო კონსტიტუცია და ხალხთა ლიგა ადიქურვოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სამოსამართლო უფლებით.

განახორციელებთ ეს და ხალხთა ლიგა საგარეო პოლიტიკის სფეროში უმაღლესი ორგანო გახდება. კაცობრიობა სწორეთ აქეთკენ მიექანება. ლოკარნოს ხელშეკრულების შემდეგ ეს აუცილებელი შეიქნა. ეს მოასწავებს დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ალაგმვას და პატარა ერთა პოლიტიკურ თავისუფლების უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში და რასაკვირველია აღმოსავლეთშიც.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიულმა ევროპამ შეასრულა უდიდესი ისტორიული მისია. მისი მეთაურობით დაეცა მეფეთა ტახტი, რომელიც ქვეყანას განაგებდა «ნებითა ლეონათა». მის ნაცვლიათ წამოაყენეს ახალი პრინციპი—ხალხის მართვა-გამგეობა ხალხისავე ნებასურვილით. ეს დემოკრატიის ბატონობა. ეს ახალი იდეა თანდათან აღმოსავლეთსაც მოედვა. და აქ დამორჩილებული ერები დღეს ხელში ამ იარაღს იმარჯვებენ და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ირანშებიან. ეგვიპტე და მაროკო, სირია და მესოპოტამია, ჩინეთი და ინდოეთი, ყველა დემოკრატიულ პრინციპს ებლაუქება და ამ გზით განთავისუფლებას ელტვის. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა აამოძრავეს ქვეყნელთა ძალები, რომელნიც მათ დღეს წალკეთ ემუქრებიან. საერთაშორისო დემოკრატიის ვადლიერება, საყოველთაო განიარაღების მოთხოვნა, ხალხთა ლიგის გავლენის გაფართოება და დამორჩილებულ ერთა გამოფხიზლება იმპერიალიზმს უკარნახებს უკან დახევას. ამიტომაც არის ამოძრავებულ ერებთან მორიგებას ლამობენ, ძველ იმპერიალისტურ პოლიტიკას თანდათან სტოვებენ და ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ ამართულ პოზიციებზე დგებიან. მართლაც ბრიტანეთის მთავრობამ ინდოეთს 1929 წლისათვის დომინიონის უფლებების მინიჭება აღუთქვა. ამ გზით ბრიტანეთის იმპერია თავისებურ ხალხთა ლიგათ იქცევა. დომინიონი ფაქტიურათ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მით უმეტეს ეს მოხდება მას შემდეგ, რაც საგარეო პოლიტიკის უზენაესი ბატონ-პატრონი ხალხთა ლიგა გახდება. ინგლისის გზას ძალაუნებურათ საფრანგეთიც თან უნდა გაყვეს. მმართველი წრეები აჯანყებულ სირიელებთან მორიგებაზე უკვე ალაპარაკდენ.

როგორც ხედავთ, ერების პოლიტიკურ დამონებას საფუძველი ეცლება და დიდი სახელმწიფონიცი იძულებული ხდებიან ეკონომიური გავლენით დაკმაყოფილდნ. ძველი ანუ ევროპიული იმპერიალიზმი მარცხდება, თანამედროვე ანუ ამერიკული იმპერიალიზმი იმარჯვებს. ევროპა-ამერიკის დემოკრატია საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაციას აშნადებს.

ამ პროცესის გარეშე დგანან ის ქვეყნები, სადაც დიქტატურაა გამეფებული, პირველ რიგში საბჭოთა რუსეთი. დიქტატურა შინაურ პოლიტიკაში მოასწავებს დიქტატურას საგარეო ურთიერთობაშიც. ამის მაგალითია ფაშისტური იტალია. მუსოლინიმა ბოლშევიკებისაგან ნასესხები მეთოდებით განადგურა იტალიის თავისუფლება. და აი გასულ წელს კუნძულ კორდუზე თავდასხმით მან მოინდომა საბერძნეთის გასრესა. მაგრამ საყოველთაო მშვიდობიანობას განსაცდელი პირველ ყოვლისა რუსულ იმპერიალიზმისაგან მოვლის. ბოლშევიზმმა მოსპო დემოკრატია, მიწასთან გაასწორა ქვეყნის საწარმოო ძალები, რუსეთის სათავეში ერთი მუჟა კომუნისტები წამოასკუბა და მას საგარეო ავანტიურისაკენ მიერეკება. და აი საბჭოთა რუსეთიც იმორჩილებს თავისუფალ ერებს, რომელთა დამოუკიდებლობა თვითვე აღიარა, როგორც მაგ. საქართველოს, უკრაინა, მონგოლეთს და სხვ. მსოფლიო რევოლიუციის ღოზუნგით მეფეთა იმპერიალისტურ პოლიტიკას უაღრესათ ავითარებენ.

ევროპის იმპერიალიზმი ანგარიშს უწევს ეროვნულ და საერთაშორისო დემოკრატის, ხალხო თვით დამორჩილებულ ერებს აძლევს განვითარების შესაძლებლობას და ბრძოლის იმედს. რაც დრო გადის, ეს პროცესი უფრო და უფრო გაძლიერდება.

სული სხვა საბჭოთა რუსეთი. აქ შიგნით მთელი საზოგადოება ბორკილებში ჩაქედლია, დემოკრატია უარყოფილია, პრესისა და კრების თავისუფლება უკუღმდებულია. მოკლეთ, ქვეყანა უაღრესათ დამონებულია.—ამიტომაც ბრძოლები უფრო მძიმეა და მსხვერპლიც აურაცხელია. როგორც ხედავთ, ძველი იმპერიალიზმი აქ ბუღობს, ძველი მტარვალობა ფესვგადგმულია სწორეთ თანამედროვე რუსეთში. რავასაკვირალია, რომ დამონებული ერები არ ერიდებიან არავითარ მსხვერპლს თავისუფლების მოსაპოებლათ და დრომტუმულ იმპერიალიზმის ამოსადგებათ.

ეს 8 წელია რუსეთი ჩამოშორდა ევროპას და აირჩია თავისი საკუთარი გზა. ეს არის გზა აზიური დესპოტიისა და აღვირწახსნილი დიქტატურისა. ლოკარნოს ხელშეკრულობით მის წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი ისმება. აქ იბადება ორნარი შესაძლებლობა.

პირველი შესაძლებლობა. საბჭოთა რუსეთი დაემორჩილება ლოკარნოს პრინციპს, შევა ხალხთა ლიგაში და დაადგება საყოველთაო განიარაღების გზას. ეს იქნება ევოლიუციური ნახტომი, რაც უნდა დამთავრდეს დემოკრატიულ რეჟიმის აღდგენით და კომუნისტთა ბატონობის თვით ბოლშევიკების ხელით განადგურებით. საკმარისია დიქტატურის შენობას ერთი რგოლი გამოაცალოთ, რომ ის დაუყონებლივ უნდა დაეცეს. ეს გამოიწვევს დამორჩილებულ ერთა რევოლიუციას და დამთავრდება მათი რუსეთისაგან ჩამოშორებით. ისინი უარყოფენ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობას და მოიწვევენ საკუთარ საკანონმდებლო ორგანოებს.

მეორე შესაძლებლობა. რუსეთი გაყვება წინეთ არჩეულ გზას და უარყოფს ლოკარნოს ხელშეკრულობით გაკვალულ საგარეო პოლიტიკის გზას. ამით ის საბოლოოთ ჩამოშორდება ევროპა-ამერიკის დემოკრატის. ეს მას უქადის საგარეო ავანტიურაში გადაჩენას, რითაც რასაკვირველია დამორჩილებული ერები ისარგებლებენ.

როგორც ხედავთ, ბოლშევიზმის წინაშე ზღაპრული დილემა დაისვა: «შემოხვალ ინანებ, არ შემოხვალ და მაინც ინანებ».

ლოკარნოს ხელშეკრულობა ძველ იმპერიალიზმის საბოლოო შემუსვრას აშნადებს. როცა დაეცემა რუსეთის დესპოტია, მის მიერ დამონებული ერები თავისუფლებას მოიპოვებენ, ლოკარნოს სული აღმოსავლეთშიაც დატრიალდება და ის თავისუფალ ერთა სამოქმედო ასპარეზთ გადაიქცევა. ევროპის სტაბილიზაციას აღმოსავლეთის სტაბილიზაცია მოყვება.

დიქტატურის დამხობის დღე ახლოვდება.

ნ. რამიშვილი.

პახუნი ძამანაშვილს და მის ამხანაგებს.

თქვენს ჩვენდამი მომართვაზე, რომელიც მოთავსებულია «კომუნისტის» 248 ნომერში, გვაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი, რაც ერთხმად იქნა მიღებული საქართველოს სსრ-დემ. მუშათა პარტიის პარიზულ ორგანიზაციის მიერ:

1. პირველ ყოვლისა ჩვენ არ ვიცით, რამდენათ ეს თქვენი აღსარება გამოხატავს თქვენს შინაგან ღრმა რწმენას. საბჭოთა რესპუბლიკაში, საკა მეფობის ტლანქი ძალმომრეობა და საერთო შიშინაობა, აზროვნების თავისუფლათ გამოხატვა ნიშნავს ჩეკის ჯურღმულში ჩაბრძანებას. და ჩვენ გვაქვს მრავალი მაგალითი, როცა მზგავსი დეკლარაციები იწერებოდა ჩეკის კარნახით თუ ზეგავლენით, რაიცა მათ წინასწარვე უკარგავს ყოველივე ღირებულებას. მაგრამ დაუშვათ, რომ თქვენი მომართვა მართლა თქვენი დღევანდელი მრწამსია; და, თუ ეს ასეა, უნდა მოგახსენოთ რომ შიშის და ტერორის გავლენით თქვენ სავსებით გადამცდარხართ თქვენს ძველ მუშურ აზროვნებას და უბრალო ლოლიკასაც. და რომ ეს ასეა, ამას ადვილათ დაინახავთ ქვემოთ ჩვენი პასუხიდან.

2. თქვენ იწყებთ: «საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების 4 წლის პოლიტიკამ თავის დავეირგვინება კპოვა გასული წლის აგვისტოში». თქვენ ისიც კი ვერ შეგიძინევიათ, რომ აგვისტოს აჯანყება აღმოცენდა იმ საშინელ პირობების ნიადაგზე, რომელშიაც ჩააყენა ქართველი ხალხი მსკვლის ხიშტებით დამეორებულმა დესპოტიურმა რეჟიმმა. და ეს აჯანყება იყო ქართული პარტიების მუშაობის ერთი ეპიზოდი, ქართველი ხალხის ბრძოლის ერთი შედეგთაგანი და არავითარ შემთხვევაში ის არ შეიცავდა მთელ ბრძოლას, მთელ მოქმედებას. «საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის დავეირგვინება» მოხდება მხოლოდ საქართველოს განთავისუფლებით. თქვენ კი გვანათ, თითქოს ამ დიადი მიზნის მიღწევას ჩვენ ვეფიქრობდეთ მხოლოდ ერთის გზით—საქართველოს სეპარატიული გამოსვლით; და რაკი ეს დამარცხდა, აქედან ასკვნით: მაშასადამე ეს მიზანიც მიუღწეველიაო. ხალხის განთავისუფლების საშუალებები მრავალნაირია, გზა არა ერთი და ორია, და ჩვენ გვიკვირს, რომ ეს უბრალო ჭეშმარიტება, რომელიც გუშინ თქვენც კარგათ გქონდათ შეთვისებული, დღეს აღარ გახსოვთ.

ვისაც მშრომელი კლასის გამათავისუფლებელი იდეები არ დაუფიქვნია, ვისაც გათვალისწინებული აქვს წარსული და აწინდელი ისტორიული ვითარება, მან კარგათ იცის, რომ დესპოტიური რეჟიმი თანამედროვე კულტურულ ხალხთა ცხოვრებაში ხანგრძლივით ვერ დამკვიდრდება. ეს ჭეშმარიტება არასოდეს ისე ცხადი არ ყოფილა, როგორც დღეს. მსოფლიო ომის შემდეგ ვერძალის სახელმწიფოთა ფარგლებში სოციალ-დემოკრატიულ დროშის ქვეშ მდგომი მუშათა კლასი დღითი დღე უფრო და უფრო გადაწყვეტს როლს თამაშებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ორი უდიდესი საკითხის პრაქტიკულათ წამოყენება ახასიათებს კაცობრიობის თანამედროვე განვითარებას: ეს არის 1) მუშათა კლასის განთავისუფლება და 2) ერთა ურთიერთ განწყობილების დამკვიდრება თავისუფლებისა და თანასწორობის საფუძველზე. ეს მეორე დიადი მიზანი, რომლის პრაქტიკულ განხორციელების ჩანასახს წარმოადგენს ერთა ლიგა, აყენებს არამც თუ საზოგადოთ ჩაგრულ ერთა, არამედ თვით კოლონიალურ ქვეყნების განთავისუფლების საკითხსაც კი. მსოფლიოს უდიდესი სოციალური ძალები ამუშავებულია ამ პრობლემების გადასაჭრელათ. და, აი, სწორედ ამ მომავლის ძალებთან გაერთიანება უქადის ჩვენ ხალხს აღდგენას და აღორძინებას და არა რუსეთის იმ დესპოტიურ რეჟიმთან დაკავშირება, რომელიც ჩვენში დღეს ბატონობს და რომელიც თვით რუსეთის შინაგანი განვითარებითაა განწირული. ხანგრძლივი პროცესის შედეგი იქნება ამ რეჟიმის დაკემა, თუ კატასტროფიულ ხასიათს მიიღებს ის.—ორივე შემთხვევაში ამ წამს ჩვენი მშრომელი კლასი მომზადებული დაუხვდება, თუ ის გაიმსჯვალა მსოფლიო მუშათა კლასის სულისკვეთებით და არ დასტოვა ძველი, ნაცადი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და თვითმოქმედება.

აი ამ ჭეშმარიტების დავიწყებისაგან წარმოსდგება ყველა თქვენი შეცდომები.

3. თქვენი «კომისია» დაარსებულა, თქვენი სიტყვით, რკინის გზის მთავარ სასწავლო-სწავლებლების და დეპოს ინიციატივით. ეს ხომ ის დაწესებულებებია, რომლებიც ქოსკოველთა ხელისუფლებამ პირველათ გაანადგურა: მრავალი მუშები იქიდან გამოყარა, გადაასახლა, დაარბია და ასე რკინით და წამებით შეხანხლა იქ თავისი მომხრე ჯგუფები. ამიტომ სრულიად არ გვიკვირს ამ განაწამებ ხალხის მიერ კომისიების არჩევა და ამ გზით სულის კბილით შენარჩუნება. ყოველგვარ არჩევას მნიშვნელობა აქვს იმდენათ, რამდენათ ის ხდება თავისუფალ ატმოსფეროში, აზრთა თავისუფალ შეჯახ-შემოჯახებით. თქვენი არჩევა კი მოკლებული იყო ყოველივე ამას და ამიტომაც, თავისთავათ ცხადია, რომ თქვენს «მუშათა კომისიას» ვერ ჩავთვლით რკინის გზის მუშათა მიერ ნებაყოფლობით არჩეულათ და მათი სულისკვეთების ნამდვილ გამოხატულებათ. და თუ თქვენ მართლაც გსურთ ასეთი კომისია არსებობდეს, მაშინ პირველყოფილსა გააყვანიეთ თვლილისიდან, საქართველოდან მოსკოვის ხიშიტი და ჩეკა და მიაცემიეთ ხალხისთვის თავისუფალი კრების და თავისუფალი და ფარული არჩევნების უფლება. და თუ ამის შედეგი იქნება თქვენი აზრების გამარჯვება, მაშინ ჩვენ თავს დაგვიკრავთ და გეტყვით: თქვენ ყოფილხართ მუშათა კლასის ნების ნამდვილი გამომხატველებია.

4. თქვენ «კომისიას» თავს უდგია სხვადასხვა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე დევნილთა და წამებულთა სასარგებლოთ. ეს, რასაკვირველია, კეთილშობილური საქმეა, რასაც ძველ რეჟიმში აწარმოებდნენ სხვადასხვა გაელენიანი პირები; და თქვენ რომ ამით დაკმაყოფილებულიყავით, დამსახურებდით ისეთსავე მადლობას, როგორსაც წინათ იმსახურებდნენ მთავრობის წრეებთან დაახლოებული პირები ამგვარ შუამდგომლობისათვის. მაგრამ თქვენს მოქმედებაში ეს შუამდგომლობა ხდება საშუალებათ ხალხის პოლიტიკურათ გასატყუათ, ბოლშევიკების მიერ უდანაშაულოთ სისხლის დაწმენვის გასამართლებლათ, იმ საოკუპაციო რეჟიმის გასამტკიცებლათ, რომელსაც ათასობით დახოცილი ჩვენი ამხანაგების სისხლი აწვეს თავს. ესლა გვეკითხებით თქვენ: რით უნდა გამართლდეს თქვენი ასეთი მოქმედება?

5. თქვენი ერთი ერთი გასამართლებელი საბუთია შემდეგი: «დავრწმუნდით, რომ საბჭოთა წყობილება იძლევა ნაყოფიერ ნიადაგს აღმშენებლობითი მუშაობისათვის ეროვნული აღორძინების მოხიზით»-ო. თქვენ ალბათ მხედველობაში გავთვოვი ერთი სადემოკრატიო ზომები ბოლშევიკების მიერ გატარებული «ნაციონალიზაციის» სახელწოდებით, როგორც მაგალითათ ქართულ ენაზე ორიოდ წიგნის გამოცემა, ან ქართულ სკოლების რიცხვის გამრავლება. მაგრამ ეს სარეკლამო ზომები მოწმობენ არა ეროვნული კულტურის აღორძინებას ბოლშევიკების მიერ, არამედ იმ ფაქტს, რომ ქართველ ხალხში იმდენათ მძლავრია ეროვნული აღორძინებისაკენ მისწრაფება, რომ ის სავესებით ვერ დაახშეს ბოლშევიკებმა და იძულებულიც არიან მას რამდენიმეთ ანგარიში გაუწიონ. და სწორეთ დამახასიათებელია ჩვენში მძევინგარე რეჟიმისათვის, რომ მის ყოველივე ცდამ ხალხის კულტურულ მოთხოვნების ვითომდა დაკმაყოფილებისა უწყველათ მანჩინჯი გამომხატულება უნდა მიიღოს, რასაც, როგორც ქვევით დანიხავთ, მოწმობენ თვით ქართველი ბოლშევიკები, თუნდაც სკოლების მაგალითზე.

ყოველ შემთხვევაში არავითარი საბუთი საბჭოთა «აღმშენებლობითი მუშაობისა» და ეროვნული «აღორძინებისა» თქვენ არ მოგყავთ; ჩვენ კი, პირიქით, აუარებელი საბუთები გვაქვს თვით ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებული, რომ საქართველოში არ აქვს ადგილი არც ეროვნულ აღორძინებას და არც აღმშენებლობით მუშაობას.

აი მაგალითები, რომელიც ალბათ თქვენც კარგათ იცით:

ა) საქართველო იყო თავისუფალი სახელმწიფო. მოსკოვმა დაიპყრო რა ის, ერთბაშათ ვერ მოსპო ყველა მისი სახელმწიფოებრივი აპარატი. შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო ყველა ამ დამოუკიდებლობის ატრიბუტების მოსპობა და დაბოლოს მივიდა იქამდე, რომ საქართველოს უბრალო საერობო საბიუჯეტო უფლებაც კი აღარა აქვს; არა, აქვს არა მარტო ქართველ ხალხს—ეს ხომ ასე იყო დღიდან რუსების შემოსევისა,— არა აქვს თვით ქართველ ბოლშევიკებსაც. აი ეს ეროვნული განადგურება თუ თქვენ აღორძინებათ მიგაჩნით, მაშინ გვეკითხებით: რომელ პოლიტიკურ ენაზე ლაპარაკობთ თქვენ?

ბ) რა აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს ჩვენში—ამის მაგალითს იძლევა ერთი დიდი ფაქტი: საქართველოს მთავარი სიმდიდრე, რომელზედაც მართლა შეი-

ძღვებოდა საქართველოს ეკონომიური აღორძინების დაყრდნობა—ჭიათურა—მოსკოვის ხელისუფლებამ უცხო კაპიტალს გადაუგდო ჩალის ფასათ, ხოლო ქართველ ბოლშევიკებს დაუტოვა თავის შესაქცევად წვრილმანი ეკონომიური ჩხირკედლაობა. საქართველოს ყველა მთავარი შემოსავლის წყაროები, როგორცაა რკინის გზა, ნავთსადენი და სხვა—მოსკოვის განკარგულებაშია, საიდანაც ქართველ ბოლშევიკებს წამოუგდებენ ნასუფრალს.

გ) ხალხის უმწეო მდგომარეობა ამკარაა თქვენი შრომის კომისარის მიერ გამოქვეყნებულ ციფრებიდან, რომელიც ამბობს: «უმუშევრობა როგორც ქალაქის, ისე სოფლის ჩვენში კიდევ დიდია და ზრდის ტენდენცია ეტყობა. ასე, მაგალითად, ჩვენი ანგარიშით ზედმიტევ მუშა ხელის რიცხვი წლიურად 200.000 კაცს უდრის. ამთვან მხოლოდ 15—16.000 კაცია შრომის ბირჯაზე აღწეული». («კომუნისტი», 11 ნოემბერი 1925 წ.). ეს ამოდენა უმუშევარი კაცი პატარა ქვეყანაში, სრულიად უცნობი და გაუგონარი წინეთ საქართველოში, რას ნიშნავს, თუ არა ერის დიდ სოციალურ უბედურებას?

ასეთი მაგალითი თანამედროვე კაცობრიობამ არ იცის.

დ) უკვე ამ ოფიციალურ ცნობიდან ამკარაა, თუ როგორი უნდა იყოს მუშათა კლასის მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში. თქვენ ჩვენზე უკეთ უნდა იცოდეთ, რომ ამ უმაგალითო უმუშევრობის მსხვერპლი არიან უპირველესათ ქართველი ტომის მუშები. იმის გარდა რომ მრავალი ასი საუკეთესო მუშა დახვრეტელ იქნა, სხვა მრავალი ასეული უცხოეთში, რუსეთში, თუ მეზობელ რესპუბლიკებში გადასახლებული პოლიტიკური რწმენისათვის,—მრავალი ათასი იძულებული განდა სოფლათ განიხნულ იყო და ამნირათ მუშათა კლასის სახელით საქართველოში შემოჭრილმა უცხო რეჟიმმა დაანგრია და გაანადგურა საქართველოს ძველი, სამაგალითო რევოლიუციური მუშათა კერა. წარმოებაში და სამსახურში დარჩენილი ქართველი მუშა-მოსამსახურეებიც ხომ გერათ არიან მიჩნეული საკუთარ ქვეყანაში. ქართველი მუშა უკვე ქართველობისათვის იდეენება, მასზე ბატონობს გუშინდელი შვარახმელი. აი მაგალითი, რომლის მზგავსს ათასობით ნახავთ თვით ოფიციალურ პრესაში: მუშა აზმაიპარა-შვილი აძლევს ქართულათ დაწერილ თხოვნას არსენალის სახარატო ცენის გამგე, კუჩერეკოს, რომელიც თფლისში აღზრდილა და ქართულიც კარგათ იცის. «მე ველურათა ენა არ მესმის, რუსულათ დაწერეთ» («კომუნისტი», 18 აგვისტო 1925 წ.), აი რა პასუხს აძლევენ ქართველ მუშას საქართველოს დედა ქალაქში. იქნება მატერიალურათ მაინც იყუნენ უზრუნველყოფილი მუშები? თქვენ იცით, რომ ჭიათურის მღაროს მუშა იღებს 40-45 მანეთს, რაიცა დღევანდელ ფასებთან შედარებით ომის წინა 20 მანეთსაც არ უდრის. ტყვიბულის მუშები კიდევ ნაკლებს ღებულობენ, ხოლო მოსამსახურეთა მდგომარეობა ხომ უარესია. და ეს უფლება აყრილი, გლატაკებული ქართველი პროლეტარიატი მოკლებულია ყოველივე საშუალებას თავდაცენას: მას არ აქვს ეკონომიური გაფიცვის უფლება, რითაც ის თვითმპყრობელობის დროსაც კი სარგებლობდა. პროფკავშირები ხომ სახაზინო დაწესებულებათ, რომელიც საბჭოთა ხელი-სუფლებას მუშების დამონაეების იარაღათ გაუხდია. მათ ბიუროკრატიულ ხასიათს ამხელს თვით კომუნისტური პრესა. ერთის სიტყვით, არც ერთ თანამედროვე კულტურულ ქვეყანაში მუშა ისე დაბეჩავებული არ არის, როგორც საბჭოთა საქართველოში.

ე) თქვენ ალბათ კარგათ მოგეხსენებათ თავისუფალ საქართველოს და საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტის რაოდენობა. მაშინ როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს უკანასკნელი შესრულებული ბიუჯეტი, 1919 წ. 1 ივნისიდან 1920 წ. 1 ივნისამდე, უდრიდა 3.250 მილიონ ქართულ მანეთს, ანუ დღევანდელი ჩერვონეცის მიხედვით, 40 მილიონ მანეთს, ბოლშევიკურ საქართველოს 1924-25 წლის ბიუჯეტი შეიცავს 10.800 ათასს მანეთს, ე. ი. 4 ჯერ ნაკლებს ვინემ ბიუჯეტი თავისუფალ საქართველოს. ხოლო მთელი ამიერ კავკასიის ბიუჯეტი უდრის 29.8 მილიონ მანეთს, ე. ი. 10 მილიონი მანეთით ნაკლებს ვინემ მარტო თავისუფალ საქართველოსი.

ესლა გეკითხებით: ამ საწყალ საბიუჯეტო ფარგლებში რა აღმშენებლობის გაწევა შეიძლება?

ვ) ლატაკი ბიუჯეტი წყაროა ლატაკი საქმიანობის, და რომ ეს ასე არის, ამას თქვენ მოგახსენებს ცნობილი ორჯონიკიძე, რომლის ხელები მრავალი ათასი ჩვენი ამხანაგების სისხლათაა გასვრილი. ალბათ წაიკითხავდით მის მოხსენებას, დაბჭუდილს

27-29 სექტემბრის «კომუნისტში», სადაც ის ასწერდა საბჭოთა მუშაობას მთელსაშორს
ერ კავკასიაში.

აი რას ამბობს ის სხვათა შორის:

«... არაერთარ კომპერატიულ საზოგადოებრიობას ადგილი არა აქვს. საბჭო ან უჯრედ ბრძანებლობს კომპერატივზე, როგორც მათ მოესურვებთ: ნიშნავენ ვინც სურთ, ითხოვენ სამსახურიდან, გადააქვთ ესა თუ ის კომპერატივი ერთ რაიონიდან მეორეში, ხსნიან, ზურავენ და სხვა. ზედნართი ხარჯები დღემდის მაღალია, ხოლო ზოგიერთ რაიონებში, ვიდრე საქონელი მყიდველს ჩაუვარდებოდეს ხელში, გაივლის 11 ინსტანციას...»

«გადასახადები. თუ შარშან გადასახადები არ იყო ძალიან მცირე, ამ გადასახადების აკრეფის დროს ადგილი ჰქონდა ათასგვარ გაუგებრობას. საქმე იქამდის მიდიოდა, რომ ქუძუმწოვარ ბავშვს ამწყვედვდნენ გადასახადების ამკრეფის ოთახში და ემუქრებოდნენ მშობლებს: «სანამ გადასახადს არ შემოიტანთ, ბავშვი ოთახში იქნება ჩაკეტილი...»

«მიწათ მოწყობა. ამ მხრივ ყველა რესპუბლიკები უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან. მომხსენებელი ყარაბაზიდან აღნიშნავს, რომ გლეხები არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ მომავალ წელს მიწა დარჩება მათ განკარგულებაში და ამიტომ არ უფლიან თავის მიწებს». მომხსენებელის აზრით საქირთა «გლეხებმა იცოდნენ, რომ ყოველ შემთხვევაში ორი წელიწადი მაინც მათ ხელში იქნება მიწის ესა თუ ის ნაჭერი...»

«სკოლა სოფლათ ხარისხის მხრით ვერაფრითაა კრიტიკას ვერ უძღვება. როგორც სჩანს, ჩვენ ძალიან გაგვიტაცა იმ გარემოებამ, რომ მივიღოთ რაც შეიძლება მეტი განსხვავება რიცხობრივით იმის შორის, რაც იყო მენშევიკების, მუსსაველიელების და მსხვერპლის დროს და ჩვენ დროს, და ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ თვალსაჩინო გავხადოთ ეს რიცხვობრივი განსხვავება, მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით შინაარსს, ხარისხს, ჩვენთვის უმჯობესია გვეჩინდეს უფრო ცოტა სკოლები, მაგრამ ეს სკოლები მართლაც სკოლებს ჰგვანდნენ...»

«... ხშირათ სოფლის ინტერესებს იცავენ არა კომუნისტები, არა საშუალო შეძლების და ღარიბი გლეხები, არამედ კულაკები, ღარიბი გლეხები სჩივიან თავიანთ გაჭირვებას. საშუალო შეძლების გლეხები არ სჩანან, კომუნისტები კი არიან ხელის უფლების წარმომადგენლები და «წესრიგის დამცველები». ხოლო კულაკები გამოდიან და იცავენ მთელი სოფლის ინტერესებს, რითაც იხვეჭენ დიდ პოპულიარობას და ხდებიან სოფლის ხელმძღვანელათ...» და სხვა და სხვა და სხვა.

6. აი როგორი «აღმშენებლობითი» მუშაობა სწარმოებს საბჭოთა წყობილებაში. არც ეკონომიური განვითარება, არც ხალხის მატერიალური უზრუნველყოფა, არც ბიუჯეტი, არც საზოგადოებრივი და კულტურული აღორძინება—აი დაპყრობილი საქართველოს სვებები. და განა შეიძლება სხვანაირათ იყოს იქ, სადაც ხალხს აყრილი აქვს ყოველივე ეროვნული და პოლიტიკური უფლებები, სადაც მოსპობილია მისი თვით-მოქმედება და უმაგალითო დესპოტიზშია გამეფებული? თქვენ კი, მიუხედავათ ამ ამკარა მდგომარეობისა, ლაპარაკობთ აღორძინებაზე! ეუვი არ არის: რამდენიმე პიროვნებები ან ჯგუფები, ხელისუფლებასთან დაახლოვებული, მართლაც აღწევენ კეთილდღეობას, როგორც, მაგალითად, ძამანაშვილი, რომელიც უკვე მიწათმოქმედების კომისიარის თანამშემუთ დაუნიშნავთ. მაგრამ ჩვენ მოგახსენებთ ხალხზე, ვრზე და აქ კი. თვით ბოლშევიკების მოწმობით, სრული უმწეობაა გამეფებული. თქვენ შორდებით ამ ხალხს, სწყვეთ მასთან ძველ კავშირს და გადადინხართ გამარჯვებულთა ბანაკში. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები. ვრჩებით იქ, საცა ერთდროს თქვენც ჩვენთან ერთათ იყავით: ჩაგრულთა პარტიაში. წამებულთა რიგებში. და გეკითხებით თქვენ: როგორ შეეწყობა მთელს ჩვენს საერთო წარსულს ეს თქვენი გასაპტერებული სიტყვები: «ბარიკადებზე ჩვენ ვიქნებით საბჭოთა ფელისუფლების დამცველთა რიგებში»? ბარიკადებს მართავს თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი, ხოლო ისინი, ვისთანაც ერთათ გვემუქრებით თქვენ ბრძოლას, უპირდაპირებენ ამ ბარიკადებს უნდარმების ან ჩეკისტების არმიას. და ასეთ მომენტში, თუ თქვენ თქვენს დღევანდელ სულისკვეთებას შერჩით, არა გვგონია ყველა თქვენი მიმდევრები ბოლომდე გაკვეენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, მრავალ მათში—რა მიზეზითაც არ უნდა ადგენ დღეს შემცდარ გზას—გაიღვიძებს ძველი სოციალ-დემოკრატიული სინდიისი, ხანგრძლივი ბრძოლით გამაჩვენ

დილი მშრომელი ხალხის ინსტიქტი და გადამჭერელ მომენტში ჩვენ ამოგვიდგებოდა გვერდში.

და ჩვენ უკანასკნელათ მათ როგუწოდებთ და ვეტყვით: კარგათ დადიქრდით, გაიხსენეთ სახელოვანი წარსული, ნუ გადასცვლით მას ამ დუნჭირ წარმავალ აწმყუზე, გადასინჯეთ თქვენი ახალი გზა და დარჩით იქ, სადაც წინათ იყავით:

პატივყერილ, დაბეჩავებულ ხალხის ბანაკში.

გიორგი ერაძე,
დავით ბუაჩიძე,
მიქიჩ ვარდოიანცი,
ვალოდია გოგუაძე,
ვასო ტუღუში,
ვლასა მგელაძე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა
პარტიის პარისის ორგანიზაციის მენდობილობით:

პარიზი, 20 დეკემბერი, 1925 წელი.

ადამიანის უფლებათა ლიგის საერთაშორისო ფედერაციის საბჭო
საქართველოს შესახებ.

28 დეკემბერს პარიზში შესდგა ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დამცველ ლიგათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელ ორგანოს, საბჭოს, მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა ბელგიის ლიგის თავმჯდომარე, პროფესორი ვილმოტი. წარმოდგენილი იყვენ შემდეგი ერები: აესტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, იტალია, ისპანია, ლიუქსემბურგი, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, რუმინია, საფრანგეთი, საბერძნეთი, საქართველო, სომხეთი, უნგრეთი, ჰაიტი.

სხვა საკითხთა შორის, საბჭომ განიხილა საქართველოს თანამედროვე შინაური და საგარეო მდგომარეობა. ქართული ლიგის წარმომადგენლის, დ. შარაშიძის, მოხსენების შემდეგ შემუშავებულ იქნა—საფრანგეთის ლიგის წარმომადგენლის, პროფესორ ოლარის და ბელგიელ ვილმოტის მთავარი მონაწილეობით რეზოლიუცია, რომელიც საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ერთხმით. (თავი შეიკავა მხოლოდ რუსეთის წარმომადგენელმა; გამოსთქვა რა სიმპატია ქართველი ხალხისადმი, მან ვანაცხადა, რომ იძულებულია თავი შეიკავოს, რადგან არ სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას და მის საერთაშორისო აქტებს). სომხეთის ლიგის წარმომადგენლის ბ. ხატისიანის წინადადებით რეზოლიუცია გავრცელებულ იქნა აგრეთვე სომხეთზე. აი ამ რეზოლიუციის თარგმანი:

«საბჭო ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დამცველი ლიგის საერთაშორისო ფედერაციის,

იღებს რა მხედველობაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ მოაწერა 1920 წელს ხელი საქართველოს რესპუბლიკასთან ხელშეკრულობაზე, რომლითაც იცნო მისი სრული დამოუკიდებლობა, ხოლო 1921-ს შეესია და დაიპყრო იგი თავის ჯარებით და მას აქეთ ბატონობს მაზე უსასტიკესი ტერორის საშუალებით;

იღებს რა მხედველობაში, რომ დამოუკიდებლობა საქართველოსი და სომხეთის იურიდიულათ ცნობილ იქნა აგრეთვე დიდ სახელმწიფოების მიერ,

აღნიშნავს რა, რომ ერთა ლიგა, სტატუტის თანახმით, ყოველი ახალი წევრის მიღებას უნდა უმორჩილებდეს ამ უკანასკნელისგან რეალური გარანტიის მოცემას თავის გულწრფელ სურვილში, რომ საერთაშორისო ვალდებულებათ ასრულებს,

გამოსთქვამს სურვილს, რომ ევროპის სახელმწიფოებმა ეკონომიური და ფინანსიური დათმობები მისცენ საბჭოთა რესპუბლიკებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს უკანასკნელი პატივს სცემს და პრაქტიკულათ განახორციელებს საქართველოს და სომხეთის მიმართ ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს, და რომ ამ სახელმწიფოებმა, როცა შესაფერი შემთხვევა დადგება, მხოლოდ ამ პირობების ასრულებით მიიღონ ეს რესპუბლიკა ერთა ლიგაში.»

საბჭომ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია რუმინიაში მძვინვარე ძალმომრეობის წინააღმდეგ. პროფ. ოლარის წინადადებით გამოთქმულ იქნა სურვილი, რომ ერთა ლიგაში მონაწილე ერებმა მოსპონ ურთიერთ სამხედრო შპიონაჟის სამარცხვინო სისტემა.

საბჭომ დაადგინა მომავალ წლის 23 მაისისათვის ბრიუსელში მოწვეულ იქნას ლიგათა საერთაშორისო კონგრესი.

ჰეიდელბერგის «პარტიტაგის» გამც.

(წერილი გერმანიიდან)

მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, ქ. ჰეიდელბერგში გაიხსნა გერმანიის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის წლიური მორიგი ყრილობა—«პარტიტაგო». ყრილობას დაესწრო 350 სოც.-დემ. ორგანიზაციების დელეგატი, სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები, მათ შორის ჩვენი პარტიის წარმომადგენელიც.

კრება გაიხსნა ქალაქის თვითმართველობის სახეიმა აუდიტორიაში—ტრადიციულათ—ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელის მისალმების სიტყვით, რის შემდეგ არჩეულ იქნა ყრილობის თავმჯდომარეთ ოტო ველსი. უკანასკნელი თავის სიტყვაში მოკლე მიმოხილვას აკეთებს პარტიისა და რეისტაგის სოც.-დემ. ფრაქციის მოქმედების შესახებ; სიტყვის ბოლოში სპეციალურათ მიესალმა უცხოელ სტუმრებს. მოკლე, მაგრამ გრძობიერი შტრიხებით აღნიშნავს საქართველოს ხალხის ტრადიკულ მდგომარეობას, რაიცა მთელ დარბაზში მოსკოვის ოკუპანტების მისამართზე «ფუის» გამოძახილს იწვევს.

ველსის სიტყვას მოჰყვა უცხო სტუმრების მისალმებანი. საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის სახელით ვ. ახმეტელი ასურათებს ქართველი ერისა და მუშავლენების წარმოუდგენელ მდგომარეობას: «ბისმარკის მიერ სოციალისტების წინააღმდეგ გამოცემულ «სამარცხვინო კანონის» ერა შედარებით საქართველოში აწ არსებულ საოკუპაციო რეჟიმთან პირდაპირ სამოთხეთ უნდა ჩაითვალოს. დამპყრობელთა რეჟიმი სისხლისა და ჯალათების რეჟიმი. მიუხედავათ ამისა ჩვენი ხალხი განაგრძობს მუშაობას და მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, მედგრათ იბრძვის მტრის წინააღმდეგ. მიუხედავათ ჯოჯოხეთური პირობებისა ჩვენი პარტია ახერხებს ცხოველ პარტიულ მუშაობის წარმოებას. დღეს მას ყავს მრავალი ათასი პარტიული წევრი, უმცევებს აუარებელ ფურცლებს, სცემს არალეგალურ ორგანოებს, რომელსაც ჩვენი ხალხი გატაცებით ეწაფება. მართალია—წარსული წლის აგვისტოს საერთო აჯანყებამ ჩვენ ხალხს დიდი ზიანი მიაყენა; იგი მტერმა ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო, მაგრამ ხალხი სულით მაინც ვერ გასტეხა, პირიქით უფრო განამტკიცა. ეს აჯანყება იყო ხალხის რისხვა—სიძულვილის ელემენტარული აფეთქება, რომელიც დამარცხების შემდეგ ოდნავ არ განელებულა, უფრო გაღრმავდა და გამაგრდა. ახლა იგი შეუდგა ფართო მასების ენერგიის, ნებისყოფის მოგროვებას შესაფერი დროისთვის გამოსაყენებლათ. შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი ერი გადაადგდეს დამპყრობელთა უღელს და მისი მუშათა კლასი, განათავსდეს უფლები, კვლავ შევა პროლეტარიატის საერთაშორისო ოჯახში.» (ისმის ყველგან მხურვალე ტაშისცემა და ვაშას ძახილი).

უცხო სტუმრების მისალმებით დამთავრდა «პარტიტაგის» ოფიციალური სახეიმა ნაწილი და ყრილობა შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას.

რევოლუციამდე მომხდარ «პარტიტაგებს» ჩვეულებრივ თეორიული და საპროპაგანდო-სააგიტაციო ხასიათი ქონდა; რევოლუციის შემდეგ თეორიისა და პრაპაგანდის ადგილი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დადებით საქმიანობამ დაიჭირა. ომის წინა დროის «პარტიტაგები» პარტიული ორგანიზაციების აკადემიებს, სამეცნიერო საკურთხეველს წარმოადგენდენ. ბოლო დროს მაინც სოციალურ საკითხების თეორიულმა გარკვევა-გაშუქებამ წარმოშვა ორი ერთი მეორის წინააღმდეგი მიმდინარეობა, ორტოდოქსია ოპორტუნისმ დაუპირისპირა.

პრაქტიკულ საკითხების გაშუქება, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დადებითი მონაწილეობა მეორე და მესამე ხარისხიდან როლს თამაშობდა. მთავრობაში შესვლა, კოალიციის და სხვა ამისთანა საკითხები დროგამოშვებით თუ წარმოსდგებოდა, ამათაც გერმანიისთვის მაინც მხოლოდ თეორეტიული ხასიათი ეძლეოდა. სხვა დანარჩენი სოციალური და ეკონომიური საკითხები პარტიულ ორგანიზაციებში ისმებოდა და აქვე წყდებოდა, ხოლო «პარტიტაგებზე» სადაო პრობლემები გადაქონდათ.

დღეს კი მდგომარეობა შეცვლილია: გერმანიის მუშათა კლასს სულ სხვა პირობებში უხდება მუშაობა. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებამ მრავალი პრა-

26931



ქტიკული კითხვების გადაჭრა დააკისრა მას. ამისდა მიხედვით შეიცვალა «პარტიეტაგების» ხასიათი, მათი სამსჯელო და გადასაწყვეტი საგანი და პრობლემები.

ჰეიდელბერგის «პარტიეტაგი» თანამედროვე კონგრესის ნიშნულზე იყო. დაკვირვებული თვალი ძალთა გარეგნულ დარაზმის მიხედვითაც შეატყობდა დიდ თავისებურებას წასულ დროსთან შედარებით. აქ თქვენ ველარ შენიშნავდით ორტოდოქსალურ მარქსისტთა და ოპორტუნისტ-რევიზიონისტთა ჯგუფებს. ეს კატეგორიები ისტორიის არქივს ჩაბარდა. ყოფილი დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატიის ლიდერი, რუდოლფ ჰილფერდინგი, რომელმაც სამი-ოთხი წლის წინეთ დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატიის ლეიპციგის «პარტიეტაგზე» ბოლშევიკური ტიპის «აქციონ პროგრამ» (მომქმედების პროგრამა) შეიმუშავა—ეს ჰილფერდინგი დღეს მეუმრავლესე სოც.-დემოკრატების ტიპიურ მეთაურ ჰერმან მიულერთან ხელი-ხელ ჩაკიდებული საქსონიის ეგრედ წოდებულ ოპოზიციის წინააღმდეგ იბრძვის. ჰილფერდინგმა ლეიპციგის სამომქმედო პროგრამა ჰეიდელბერგის «პარტიეტაგის» პროგრამით შესცვალა და სამართლიანათ მის ფანატიკურ დამცველათ გამოვიდა.

რამდენიმე სიტყვა საქსონიის ოპოზიციის შესახებ.

საქსონიის «ლანდტაგის» (ადგილობრივი პარლამენტის) 23 დეპუტატი მთელი წლის განმავლობაში ილაშქრებდა პრესაში და პარტიულ ორგანიზაციებში სოც.-დემ. იმ დეპუტატების წინააღმდეგ, რომლებიც გაფართოებულ კოალიციურ მთავრობაში შევიდნენ. კამათი პარტიულ და ამხანაგურ ჩარჩოებს გადასცდა. ამ ოპოზიციამ წინეთ მიზანშეწონილათ მიიჩნია კომუნისტებთან ერთათ მთავრობის შედგენა და საკუთარი ინიციატივით სცადა ერთხელ კიდევ. მაგრამ მწარე სინამდვილემ ჩქარა გამოაშკარავა მათი შეცდომა. მსოფლიო რევოლუციის ცრუ მოციქულებმა მოსკოვის კარნახით მინისტრის თანამდებობა მთელი მისი აპარატებით «პერმანენტული რევოლუციის» მოსაზრებულ იარაღათ გადააქციეს. თავისთავათ ცხადია, რომ ეს მანჩიკი კოალიციაც სწრაფათ დაინგრავ. მაგრამ საქსონიის «მემარცხენე» სოც.-დემოკრატებმა მაინც ასეთი დებულება წამოაყენეს: ან კომუნისტებთან კოალიცია, ან და არავისთანა. და ეს მაშინ როცა სრულიად «გერმანიის» მთავრობაში გაფართოებული კოალიცია იყო მიღებული და სოციალ-დემოკრატები შტრეზემანის «სახალხო» პარტიასთან ერთათ შედიოდნენ მთავრობაში. (შტრეზემან-ჰილფერდინგის მთავრობა). მაგრამ მართო კოალიციის საკითხი არ ასულდგმულებს საქსონიის ოპოზიციას და მასთან ერთათ მემარცხენე მიმდინარეობას. მთელ პარტიაში ამით ჯერაც თავიდან არ გამოურყვიათ ბოლშევიკური ფრანგოლოგია და ზოგიერთი ბოლშევიკური მეთოდები მისაღებათ მიაჩინათ. და ეს გასაგებიცაა, რადგან ოპოზიციის სულის ჩამდგმელი—ლევი-ზენდერები—ჯერ კიდევ გუშინ კომპარტიის ზელმძღვანელები იყვნენ და საველე პავლეთ მართლა ხომ ერთი დაკვრით არ იქცევა!

ჰეიდელბერგის «პარტიეტაგის» საქმიან ხასიათმა საქსონიის ოპოზიციას და მის სულის ჩამდგმელ ლევი-ტომი-ზენდერებს ბრძოლის უნარი საგრძობლათ წაართვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ლევი ისე გაბედულათ ველარ აღაწუნებდა ბოლშევიკურ ფრანგებს, ოპოზიციას გაცილებით მეტი სიფრთხილე ეტყობოდა. მისი კრიტიკა პარტიისა და რეისტაგის ფრაქციისა ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების გამო რბილი და ფრთხილი იყო. სამართლიანათ შენიშნა მას ბრეიტშეიდიმა: ანხ. ლევის ჩვეულებათ აქვს ამხანაგებს გაუმასპინძლეს ლოზუნგების და მოხდენილი სიტყვების სიმფონიებით; თორემ რეისტაგის საქმიანობაში ის ფრთხილ ჰერმან მიულერზე ფრთხილია. პარტიეტაგმა ცხად ჰყო საქსონიის და საზოგადოებ მემარცხენე ოპოზიციის სრული სისუსტე პარტიაში. ის სასტიკათ დამარცხდა და დამარცხდა ისე, რომ ვერც ერთ პრინციპიალურ კითხვაში ბრძოლაც კი ვერ მისცა უმრავლესობას.

და მართლაც შეუძლებელია ბოლშევიკურმა მისწრაფებამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ფეხი მოიკიდოს. ჰეიდელბერგის პარტიეტაგზე ხანგასმით აღინიშნა, რომ სოც.-დემოკრატია «რევოლუციების მოხდენას» არ მისდევს, მან ინგლის-პოლანდის გზა აირჩია. თვით მარქსი ამბობდა ერთ დროს, რომ ინგლისსა და პოლანდაში დიდი ქართველები აღარ იქნება საპირო სოციალიზმის დამყარებისათვისა. ასეთი განაჩენი ისტორიამ ევროპის სხვა სახელმწიფოებზედაც გაავრცელა.

ჰეიდელბერგში პარტიის მიერ მიღებული პროგრამაც აუკარათ ატარებს ახალი დროის მოთხოვნილებების დაღს; ის წარმოადგენს პრაქტიკულ პოლიტიკურ ბრძოლის საპირობათა გამოანატულებას. მართალია მისი თეორიული ნაწილი პირდაპირ

ერფურტის პროგრამის ძირითად დებულებებზეა აშენებული; მისი წმინდა პროგრამული ნაწილი სახავს მუშათა კლასის შემოქმედებითი მუშაობის მიზნებს და საშუალებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ აღმშენებლობის სფეროში. რევოლუციონერ ფრაქციონალიზმის პროგრამის თეორიულ ნაწილში არავითარი ადგილი არა აქვს. თვით სიტყვა კლასთა ბრძოლასაც კი ვერ შეხვდებით. ოპორტივიზმს აქაც დამახასიათებელი ალიაქოთი ასტეხა. შეიდეგანმა თავისებური გონებამახვილობით შენიშნა: ეხლა რომ ფართო კლასთა ბრძოლა სწარმოებს, ბებელის დროს მას ცელქ ოცნებამაც კი ვერ წარმოიდგენდა კაცი, მაგრამ ის კი არ შევა «სასუფეველში» ვინც იძახის: «უფალო, უფალო», არამედ ვინც საქმით აწარმოებს კლასთა ბრძოლას.

პროგრამა უმთავრესათ ეხება კონსტიტუციას, მართვა-გამგეობას, იუსტიციას, სოციალ-პოლიტიკას, კულტურისა და სკოლის საქმეს, ფინანსებს და გადასახადებს. ეკონომიურ და ინტერნაციონალურ პოლიტიკას. პროგრამის თეორიული ნაწილი უდავოდ მარქსიზმზეა აშენებული. დღეს სახელმწიფო და სახელმწიფოს ორგანიზმი პროლეტარიატისთვის სხვაგვარ როლს თამაშობს, ვიდრე ეს რევოლუციამდე იყო. მარქსის თქმულებას «სახელმწიფო აპარატი დავამსხვრითო», მისი დროის და მაშინდელი პირობის მიხედვით, განსაზღვრულ მიზნობრივ ურთიერთობაში მისაღები შინაარსი ქონდა, მაგრამ იგი ეხლა დროს შეუფერებელია. მარქსმა ჩვენ ძირითადი შეხედულება მოგვცა, მოგვცა სწორი და უტყუარი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ვითვალისწინებთ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მის რთულ და დასაბუთებულ შეხედულებიდან ფრაზების ამოღებით, მარქსის მიხედვით ტალმუდით გადაქცევით, რთული მოვლენების ხალხის სასარგებლოთ გადაქრა-გადაწყვეტა არ მოხერხდება. ეს გზა სოციალ-დემოკრატიის გზა არ არის. მარქსიზმიდან ამოღებულ-ამოგლეჯილ ფრაზებით ლენინმა შეალამაზა ბოლშევიკური შეხედულება, საკაცობრიო კულტურის განადგურების პოლიტიკა. მარქსიზმს ბოლშევიკების ხელში იგივე დღე დაადგა, რაც პირველ ყოფილ დემოკრატიულ ქრისტიანულ მოძრაობას ეკლესიის ხელში. კომუნისტების ინტერნაციონალი ვგნატე ლოიოლას მიერ შექმნილი იეზუიტების ორდენია, ხოლო ჩვეა და სახელმწიფო აპარატი საშუალო საუკუნის ინევიზიციია. ერთხელ და სამუდამოდ მოშორდენ სამართლიანობისა და თანასწორობის ნიადაგს, მთელი მარქსისტული შეხედულება მათ ხელში კაცობრიობის საშინელ სენათ გადაიქცა.

საქართველოს ერი და მუშათა კლასი კი ერთხელ და სამუდამოდ გაიმიჯნა რუსეთის ნიადაგზე აღმოცენებულ ბოლშევიზმიდან და მან გადაპირით აიღო ორიენტაცია დასავლეთ ევროპისაკენ, ევროპულ სოციალიზმისაკენ. ამაშია ჩვენი ერის ხსნა, ჩვენი მუშათა კლასის დამწიფება. ჰეილბერგის «პარტიტაგი» ჩვენ გზას გვიჩვენებს და მისი საფუძვლიანი, ყოველ მხრივ გარკვევა-გაშუქება ჩვენი პარტიული ცხოვრების მორიგ საკითხათ უნდა გადაიქცეს.

შვარცი.

3 კ რ მ ა ნ გ რ ე ე ბ ი ს ი.

ამ წლის 8 ნოემბერს გარდაიცვალა კიურობში ღრმით მოხუცებული ვეტერანი ინტერნაციონალის და უდიდესი ბელადი და დამაარსებელთაგანი შვეიცარიის სოც.-დემ. პარტიის ჰერმან გრილინი.

60 წლის წინეთ ის ხანგრძლივ მოგზაურობის შემდეგ გერმანიასა და ავსტრიაში, საბოლოოდ დაბინავდა შვეიცარიაში, მიიღო შვეიცარიის მოქალაქეობა და სულ მოკლე ხანში გახდა ნამდვილი სული და გული გერმანულ შვეიცარიის მუშათა პროფესიონალური და სოციალისტური მოძრაობის. ყველა ქვეყნის სოციალისტურმა პრესამ მხურვალე წერილები უძღვნა, მის ხსოვნას და აღნიშნა მისი დაუფასებელი ღვაწლი, როგორც შვეიცარიის მუშათა «ისტორიული ბელადის».

უადგილობის გამო მოგვეყვას მხოლოდ ერთი ამონაწერი, «მუშათა გაზეთიდან»: «გრეილინის სახით ჩავიდა სადღევანო ნესტორი (მემტანე) საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ერთი იმთაგანი, ვინც თანამედროვე სოციალიზმის აკვანს ურწევდა, ვინც ასწავლიდა და ამხნევებდა პროლეტარიატს მაშინ, როცა დღევანდელი ბელადები სოციალისტური პროლეტარიატის დაბადებულნიც არ იყვნენ.

... ის ცხოვრობდა ევროპის პროლეტარიატის შეგნებაში, როგორც დასაჯრ-
დნობი წერტილი საერთაშორისო სოციალისტური ცხოვრების, როგორც მიმზიდვე-
ლი ძალა, დაუძლეველათ მომქმედი ყველაზე, ვისაც მასთან რაიმე დამოკიდებულება
ქონებოდა.

... ჰერმან გრეილინი იყო შვეიცარიის მუშათა პარტიისთვის მისი ისტორიუ-
ლი ბელადი, ადამიანი, რომელსაც მუშები აბსოლუტურათ ენდობოდნენ, რომელიც
მათ სულთ და გულით უყვარდათ.

... მთელი ამ ხნის განმავლობაში გრეილინი მუშაობდა დაუღალავათ, ის არა
მარტო ასწავლიდა, არამედ თვითონაც სწავლობდა, არა მარტო ავითარებდა არამედ
თვითონაც ვითარდებოდა. ამიტომ მისგან გამოვიდა არა მარტო მსმენელთა წარმტაცი
ორატორი, არამედ დამუშავებული სტილისტი, არა მარტო საგაზეთო პუბლიცისტი,
არამედ მოაზროვნეც, რომელმაც არა ერთი შრომით გაამდიდრა სოციალისტური
ლიტერატურა.

პატარა ქვეყანამ გაგზავნა ის (ინტერნაც. კონგრესზე), მარა იქ დიდი კაცი მივიდა.»

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იმდენათ მდიდარია, რომ ჟურნალის მოკლე
წერილში ყოვლად შეუძლებელია თუნდ მისი მოკლე ბიოგრაფიის მოთავსების ცდა.
ჩვენ აქ ვეცდებით მხოლოდ აღვნიშნოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტები მისი
ცხოვრებიდან.

გერმანიის დაიბადა 1842 წელს ბრესლავეში. მამა მისი მეფაიტონე იყო და ადრე
გარდაიცვალა სიმთვრალის გამო. ბავშვი დედას დარჩა ხელზე გასაზრდელათ. სოფლის
სკოლაში 7 წლის სწავლის შემდეგ 14 წლის გერმანიის დააყენეს წიგნის მკაზნავთან
მოწადეთ. აქ მან დაყო 5 წელი, მუშაობდა 14 საათს დღეში, მარა მაინც პოულობდა
დროს და ძალას შუალამემდი წიგნები და გაზეთები ეკითხა, სხვათა შორის კითხუ-
ლობდა ისეთ სერიოზულ წიგნებს, როგორც ბიუხერის «ძალა და მატერია». 19 წლი-
სამ დათავა მოწადეთა და მაშინდელი ჩვეულების თანახმათ ახალგაზნა ქარალი
ფეხით გაემგზავრა ავსტრიის და გერმანიის შემოსავლელათ. 1865 წელს ის დროებით
შეჩერდა რეიტლინგენში, სადაც დაუყონებლივ ჩაეწერა ადგილობრივ მუშათა თვით-
განვითარების კავშირში და მალე იმდენათ დაწინაურდა თავის გამჟირახი ჭკუით და
მჭერმეტყველებით, რომ კავშირმა ის დელეგატათ გააგზავნა შტუტგარტში «გერმანიის
მუშათა საზოგადოებების» კონგრესზე. იქაც მან მიიქცია საყოველთაო ყურადღება და
მას ურჩიეს თავისუფალ შვეიცარიაში წასვლა სერიოზული სწავლის შესაძენათ. გრეი-
ლინმა დაიჯერა ეს რჩევა და 1865 წლის დეკემბერში წავიდა ციურიხში, რასაკვირვე-
ლია, ფეხით. აქ ის დაუყონებლივ შევიდა წვერათ მუშათა უპარტო ორგანიზაციაში,
«ერთობა»-ში. პოლიტიკური და პროფ. ორგანიზაციები მუშებ შორის იქ მაშინ არ
არსებობდა. სოციალისტურ მოძრაობაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მოწინავე
ელემენტები ემხრობოდნენ «გრიულანდის კავშირს» წერილ ბურჟუაზიულს თავის
მიზნებით და შემაღველობით. საერთო აქაურ მუშათა მასის ჩამორჩენილობისთვის
იმ ხანათ დამახასიათებელია ის, რომ 1866 წელს ენენევაში გამართულმა ინტერნაციო-
ნალის კონგრესმა არავითარი ინტერესი არ გამოიწვია მათში. თვით გრეილინიც არ
იყო მაშინ სოციალისტი, ისე როგორც არ იყო ბებელი, როცა უკანასკნელი გაეცნო
მას შტუტგარტის კონგრესზე.

ამ ხანათ ენენევაში უკვე გამოდიოდა გერმანიის რევოლუციურ მოძრაობის
ძველი მებრძოლის იოვან ბუკერის რედაქტორობით ყოველთვიური ორგანო «წინა-
მორბედი». ამ ორგანომ და მის რედაქტორთან პირადმა შეხვედრებმა დააყენეს გრეი-
ლინი სოციალიზმის გზაზე. ამ მხრით ქონდა მანვე გავლენა აგრეთვე შვეიცარიის სო-
ციალისტ კარლ ბიურკლის, რომელიც ფურიეს მიმდევარი იყო.

1867 წ. გრეილინმა უკვე მოაწყო ბიურკლისთან ერთათ ინტერნაციონალის სექ-
ცია შვეიცარიაში, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბიურკლი, ხოლო მდინათ
გრეილინი. ამ დროს ის უკვე ერთიანათ ჩამბული იყო სოციალიზმის იდეის პროპაგან-
დის საქმეში და დაუღალავი ენერგიით იღვწოდა მუშათა პოლიტიკურ, პროფესიულ
და კოლექტიურ კავშირების მოსაწყობათ. 1868—9 წლებში ამ კავშირებიდან
წარმოსდგა მათი გაერთიანება—«მუშათა კავშირი» ყოველკვირეული გაზეთით «ტაგ-
ვახტ», რომლის რედაქტორი იყო თვით გრეილინი. ძნელზე ძნელი იყო ამ მოვალეო-
ბის ასრულება—თითქმის სრულიად უსასყიდლოთ, განსაკუთრებით გრეილინისთვის,
რომელიც იძულებული იყო გარეშე მუშაობით ერჩინა თავი და შეენახა ოჯახი; ამავ

დროს მას სიტყვიერი პროპაგანდა-აგიტაცია უნდა ეწარმოებინა. გრეილისი თვითონ ადგენდა გაზეთს, თვითონვე კეცდა და ურიგებდა ხელისმომწერლებს. დამხმარე თითქმის არავინ ყავდა. თავის ოჯახს გრეილისი ყავის მოხალევაში აღებულ გროვებით არჩენდა. «მუშათა კავშირი» და მისი ორგანოს არსებობა ხანმოკლე გამოდგა. მთელი რიგი გარემოებების გამო ის თითქმის სავსებით დაიშალა და მხოლოდ 1873 წელს მრეწველობის გაცხოველებასთან ერთად ხელახლა აღსდგა და მასთან ერთად განახლდა მისი ჟურნალიც, რომელიც ახლა კვირაში ორჯერ გამოდიოდა, და რედაქტორ—გრეილისს ახლა თვითურად 100 ფრანკი ჯამაგირი ეძლეოდა. მარა მას მაინც უხდებოდა «ზედმეტ სამუშაოს» ძებნა, რომ ოჯახის პროლეტარულათ რჩენა შეძლებოდა.

ამავე დროს მას ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა: ერთი მხრით ბურჟუაზიულ-დემოკრატიის ტრადიციული გავლენის მოსასპობათ მუშებში, მეორე მხრით ანარქიზმის მოსაგერებლათ. ბევრი უკმაყოფილება შეხვდა მას პატივმოყვარე ამხანაგებისაგანაც, რომელთაც შურდათ მისი გავლენის ზრდა მასსებში. მარა ამას არ ჩაუკლავს მისი ენერგია იმ ისტორიულ მუშაობის წარმოებაში, რომლის წყალობით მუშათა მოძრაობა ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ამის შედეგი იყო 1877 წ. შვეიცარიის პროლეტარიატის მიერ კანონმდებლობითი გზით სამუშაო დღის 11 საათამდე შემცირების მოპოვება. მუშები მოითხოვდნენ 10 საათამდე შემცირებას. ეს მაშინ ნიშნავდა ბურჟუაზიის ერთგვარ კაპიტულიაციას მუშათა კლასის მოძრაობის წინაშე, გრეილინი, თავისთავად ცხადია, ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამ მოძრაობაში.

70 წლების დასასრულს და 80 წლების დასაწყისში «მუშათა კავშირი» სავსებით დაიშალა, მოძრაობა დროებით შესწყდა. «ტავკახტი» სამუდამოდ დაიხურა. და გრეილისისთვის მძიმეზე უმძიმესი დრო დადგა. ის წლებზე ფეხს იდგამდა, რომ ცოლშვილი შიმშილით არ დახვოდა. მე თითონ ვიყავი მოწამე იმის, როგორ ჩაკირკიტებდა იგი თავჩაღუნული დიდიდან შუალემდელი სტატიისტიკურ ბარათებს, რისთვისაც დღეში 5 ფრანკს იღებდა. ე. ი. თვეში 150 ფრანკს (თუ კვირასაც იმუშავებდა). მას კი ამ დროს 6 შვილი ყავდა. რომ ზოგიერთი შეძლებული ამხანაგები არ დახმარებოდნენ, ის იმ ხანათ მეტათ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაჯარდებოდა. ბურჟუაზიის სიძულვილი ამ მუშათა მეთაურისადმი იმდენათ ძლიერი იყო, რომ სახლის პატრონები მას ბინას არ აძლევდნენ, ხან თავის ინიციატივით, ხან სხვა მდგომარეობის მოთხოვნით, რომელთაც არ სურდათ ამ «საშინელების» მესობლათ ყოლა. საქმე გათავდა იმით, რომ ბიურკომ და ზოგიერთმა შეძლებულმა მეგობრებმა ბანკის კრედიტის საშუალებით უყიდეს მას სახლი. მე თვითონ მიცხოვრია ამ სახლში. იქვე იყო კიდევ ორი პატარა ბინა. მაგრამ შემოსავლის მხრივ ხეირი არ იყო, რადგან უმთავრესათ მის სახლში ღარიბები იდგნენ და გრეილისი ხომ მათ ვერ გამოდენიდა, როცა ფულს ვერ გადაუხდიდნენ, თუმცა მას თვითონ ესაპირებოდა ფული ბანკის ვალის გასასტუმრებლათ. მარა ის არ იტენდა გულს და რამდენიმე ხნის შემდეგ იწოვნა კიდევ «კანკელიარისტის» ადგილი კანტონის სტატისტიკურ განყოფილებაში. ხოლო 85-იან წლებში ის უკვე შეფი იყო ამ ბიუროსი.

მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა 1887 წლიდან, როცა მუშათა მოძრაობა კვლავ გამოცოცხლდა და ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ შვეიცარიის პარლამენტი და მთავრობა იძულებული გახდნენ ჰისთვის ანგარიში გაეწიათ. სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი მომხრე პროფეს. და სხვ. კავშირები შევიდნენ შეთანხმებაში «ქრისტიანულ მუშათა საზოგადოებებთან», იმ პირობით, რომ მათი სარული დამოუკიდებლობა დაცული ყოფილიყო.

მუშათა კონგრესმა, რომელზედაც ამ შეთანხმების შედეგათ შესდგა «შვეიცარიის მუშათა კავშირი», დაადგინა საერთო შვეიცარიის მუშათა სეკრეტარიატის დაარსება და პარლამენტისგან გამოითხოვა სუბსიდია მის შესანახათ. სეკრეტარიატის სათავეში დააყენეს პ. გრეილინი.

პარლამენტს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია მუშათა მოთხოვნისთვის, რაც მაჩვენებელია მათი მაშინდელი დიდი ძალის და გავლენის. ხოლო ის ფაქტი, რომ ამ მრავალფეროვანმა მუშათა კავშირმა სოციალ-დემოკ. პარტიის ლიდერი გრეილისი აირჩია სეკრეტრათ, გამომხატველია სოციალ-დემ. პარტიის გავლენის და გვეგომინის მთელ მუშათა მოძრაობაზე შვეიცარიაში. ამ რიგათ გრეილისი ვახდა მუშათა კლასის ოფიციალური წარმომადგენელი პარლამენტის და მთავრობის წინაშე და ინიციატორი მუშათა კანონმდებლობის. ამავე დროს მან ისარგებლა თავის. მდგომარეობით, რომ

ფართოთ ეწარმოებია პრეპარატებისა და აგიტაცია მუშათა კლასის ძირითად მოთხოვნებში. ბებნის სასარგებლოდ, ხშირათ თვით მთავრობის წინააღმდეგ. საკავშირო მთავრობამ, პროლეტარიატის მოძრაობის გავლენის ქვეშ დაიმუშავა პროექტები მუშათა დაზღვევისა მოხუცებულობის, ავთომედიცინის, უბედურ შემთხვევებისგან და სხვ.

გრეილის მთავრობის პროექტები არ მოეწონა; მათ თავის დამუშავებული პროექტები დაუპირდაპირა, და ისეთი ფართო და ძლიერი აგიტაცია გააჩაღა მთელ შვეიცარიაში, რომ პარლამენტში შეტანილ იქნა წინადადება მისთვის გაკიცხვის გამოცხადების. მარა ამაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც იმავე დროს რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო, განაცხადა: პარლამენტი არ შეუძლია გაკიცხვა გამოუცხადეს გრეილისს, რადგან ის მთავრობის მოხელე კი არ არის, არამედ მუშათა ორგანიზაციების სამსახურში მყოფი პირი, მხოლოდ მუშათა ყრილობას შეუძლია მისთვის გაკიცხვის გამოტანა. ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ერთი რამ: უარი გვეთქვა სეკრეტარიატის შესანაზი ხარჯების გაღებაზე, მარა ამაზე პარლამენტი ვერ წავაო. ამით გათავდა ეს ინციდენტი.

90 წლებში და შემდეგ სოც.-დემ. თანდათან გაყავს თავის წარმომადგენლები ქალაქის თვითმართველობაში და ბოლოს ცენტრალურ პარლამენტშიაც. პირველ ხანებში მუშათა დეპუტატების რიცხვი პარლამენტში მცირე იყო და მათ მოწინააღმდეგეები "გრეილისის კაპელა"-ს უწოდებდნენ.

მუშათა ფრაქცია თანდათან გაიზარდა და დღეს მეორე ადგილი უჭირავს რიცხვით იქაურ პარტიებ შორის. თვითმართველობებში და პარლამენტში მუშაობის გამო გრეილის ერთი წუთითაც არ მიუტოვებია თავის საპროპაგანდო მუშაობა მასწებში. თითქმის ყოველდღე კითხულობდა ის რეფერატებს. ამ უკანასკნელ 2-3 წლის განმავლობაში კი მხოლოდ ყოველ კვირამდრით და მართავდა ციურისს გარეთ მოსწენებებს.

ბოლოს უნდა აღვნიშნო ერთი მისი თვისება, როგორც ადამიანის: მისი უსახდვრო გულკეთილობა და ბუნებაზიარობა. ის ყოველთვის მზათ იყო თავის მოძმეს დახმარებოდა, რითიც შეეძლო, და სოციალისტური ემიგრაცია შვეიცარიაში ყოველთვის სარგებლობდა მისი გულკეთილობით. შვეიცარიის მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ ამ თავის "ისტორიულ ბელადს". არ დაივიწყებენ მას არც სხვა ქვეყნის სოციალისტები.

3. აქსელრედი.

ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი და მ ე ზ ე ლ ვ ი.

მიუხედავთ ენერგიული მუშაობისა კომინტერმა თითქმის ვერც ერთ ვეროპის ქვეყანაში ვერ შესძლო მუშათა პროფესიული ორგანიზაციების დახმარება. მხოლოდ საფრანგეთში მიაღწია მან მიზანს: აქ, მისი წყალობით, ორათაა გაყოფილი "სრომის საყოველთაო კონფედერაცია", რის გამო პროფესიული მოძრაობა ძლიერ შესუსტებულია უკანასკნელ წლებების განმავლობაში. სანმაგიეროთ გერმანიაში, ინგლისში, ბელგიამ, ავსტრიაში—საცა პროფ. ორგანიზაციები მრავალ მილიონ მუშას აერთებენ (მარტო გერმანიის პროფკავშირებში შედის 5 მილიონამდე მუშა)—სრულის წარმატებით მოიგერიეს კომუნისტების იერიშები, წინანდელი ძლიერება და გავლენა შეინარჩუნეს და მუშათა ახალ ფენებს იკრებენ თავის ორგანიზაციებში. როცა ნაციონალური მასშტაბით თითქმის ვერაფერი დააკლო კომინტერმა საერთაშორისო პროფ. მოძრაობას, მან შესცვალა დარღვევის მეთოდი და შეტევის მეთოდი ძალა მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციის—ამსტერდამის—წინააღმდეგ. ცნობილია, რომ აქ მას აღმოაჩინა მოულოდნელი და გავლენიანი მოკავშირე: ინგლისის ტრედუნიონების ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანი ჯგუფი, პერსელის მეთაურობით. ეს სწორეთ რომ ახირებული ხალხი თავის ქვეყანაში «საკუთარ» ბოლშევიკებს ახლო არ აკარებენ თავიანთ ორგანიზაციებს. მაგალითათ, ტრედუნიონების უკანასკნელმა კონგრესმა სკარბოროში უარი სთქვა ეცნო ინგლისის კომუნისტური პროფესიული მოძრაობა, «ეროვნულ უმცირესობათ» უწოდებული. ამავე დროს, იმავე კონგრესმა თითქმის უდისკუსიოთ მიღებულ დადგენილებით დაავალა თავის ხელმძღვანელ ორგანოს არ დაიშუროს ცდა რუს

პროფკავშირების გაერთიანებისათვის ამსტერდამის ინტერნაციონალთან. ეს ამკავრა ულოლიკობა უნდა მიეწეროს ინგლისურ «თავისებურებას», მათგან კონტინენტის მოძრაობის უციოდინარობას და უყურადღებობას. პირველი ნაბიჯი მათი ცდის იყო ესრედ წოდებულ «ანგლო-რუსულ სინდიკალური კომიტეტის» მიერ მოწოდების გამოშვება, რომლის შესახებ ჩვენ «ბრძოლის» წინა ნომერში ვწერდით. ამ მოწოდებამ ღრმა უკმაყოფილება და სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია ამსტერდამის მომხრე სინდიკატებში კონტინენტზე. მაგრამ ოფიციალური პასუხი ინგლისელ-რუსების მანევრებისთვის უნდა გაეცა «საერთაშორისო სინდიკალურ ფედერაციას» (ამსტერდამის პროფ. ინტერნაციონალი) თავისი ხელმძღვანელი კომიტეტის სხდომაზე ამსტერდამში, 4—5 დეკემბერს.

განხილვა დაიწყო პოლანდიელი მოღვაწის, უდვეგესტის, მოხსენებით; მან მოიგონა კომიტეტის მიერ ამა წლის თებერვალში გამოტანილი დადგენილება ამხვე საკითხზე, რომელშიაც კომიტეტი თანხმობას აცხადებდა მოწვევა კონფერენცია რუსებთან ერთად მხოლოდ იმ პირობით, თუ უკანასკნელი წინასწარ გამოიტანდნ პრინციპიალურ გადაწყვეტილებას ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლის შესახებ, (რაცა ნიშნავს ამსტერდამის სტატუტის ცნობას, ე. ი. რუსულ პროფკავშირების მიერ «წითელ» პროფინტერნზე უარის თქმას). რუსებისგან ამაზე 14 მაისს მოვიდა პასუხი, რომელიც გვერდს უხვევს ამ მოთხოვნილებას და ჩვეულებრივ «საერთო კლასიურ ფორმის» გაერთიანების იდეას იმეორებს. ამითა, სთქვა უდვეგესტმა, რუსებმა ფაქტიურად უკუაგდეს ამსტერდამის პირობა. ამის შემდეგ ახალი არაფერი მომხდარა, მდგომარეობა არ შეცვლილა. ამიტომ კომიტეტის სახელმძღვანელო ხაზით უნდა დარჩეს ისევ ვენის კონგრესის რეზოლიუციათ.

მოხსენებას მოჰყვა ძლიერ საინტერესო კამათი, რომლის შინაარსს მოკლეთ მოვიყვანთ.

ა ც ი მ ო ნ ტ ი (იტალია) საკითხის არსებას ხედავს იმაში, რომ რუსული პროფკავშირები არ წარმოადგენენ თავისუფალ, დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, ისე როგორც ფაშისტური პროფ. ორგანიზ. იტალიის, ამიტომ ამ პროფკავშირების თავისუფალ პროფესიულ ორგანიზაციებათ მიჩნევა არ შეიძლება, რის გამოც მათზე დროს დაკარგვა არ ღირსთ.

უ ე ო (საფრანგეთი) მიუთითებს, რომ კომიტეტის კომპეტენციას არ შეადგენს სტატუტის შეცვლა. უპირობოთ მოლაპარაკების გამართვა რუსებთან შეიძლება მხოლოდ იმ წესით, როგორც აზერიკასთან ან მექსიკასთან; არავითარი უფლება პრივილეგიების მათ არ აქვთ. ამიტომ თუ ამსტერდამის ინტერნაციონალში შემოვლენ, — რაცა ჩვენ ვვლას სერიოზულათ გვსურს — მათ მიენიჭებათ სხვების თანაბარი უფლებები და თანაბარივე ვალდებულებანი.

გ რ ო ს მ ა ნ ი (გერმანია) უერთდება ამ მოსაზრებებს და სპეციალურათ მიუთითებს იმ გარემოებას, რომ კომუნისტები ამ წუთშიაც ძველის სისასტიკით და სიმულვილით გან:გრობენ ლანძღვა-გინების და ცილისწამების კამპანიას.

პ უ ე ბ ე რ ი (ავსტრია) აღნიშნავს კომუნისტების უძლურებას ავსტრიაში და ფიქრობს, რომ საზოგადოთ არ უნდა გაეწიოს მათ სერიოზული ანგარიში. მისი აზრით სადისკუსიოთ წამოყენებულია არა პროფესიული, არამედ პოლიტიკური საკითხი. სანამ ეს უკანასკნელი არ გადაჭრილ, საერთაშორისო სინდიკალური ფედერაცია, თუ ის კომუნისტებს აჰყვა, გახდება მხოლოდ იარაღათ სხვისი მიზნებისთვის ე. ი. პოლიტიკურ იარაღათ. პოლიტიკურ ძალთა მოსამსახურეთ. ამ დიდ პოლიტიკურ პრობლემის გადაჭრის დრო კი ჯერ არ დამდგარა. როცა მოსკოვის პოლიტიკური მბრძანებლები იძულებული გახდებიან შესცვლონ თავიანთი პოლიტიკა და დასავლეთისაკენ გადაიხარონ, როცა რუსული პროფკავშირები შესძლებენ წამოაყენონ და დაიცვან ნამდვილი პროფესიული მოთხოვნები — აი მაგალითათ გაფიცვის უფლება, რომელიც რუსეთში ისევე არ არსებობს, როგორც იტალიაში, — მაშინ ჩვენ თავის გვერდში გვიპოვიან. მაგრამ სანამ ეს გაჯანსაღების პროცესი არ დამთავრებულა და რუსები განაგრძობენ ვეროპაში საეჭვო ელემენტებზე დაყრდნობას, ე. ი. სანამ რუსებს თავისი ღირსება არ შეუგნიათ, მათთან ყოველივე კონფერენცია უსარგებლო და ხედმეტია.

ს ტ ე ნ კ ი უ ს ი (პოლანდია) ფიქრობს, რომ ეს მსჯელობა ძვირფასი დროის ფუჭათ დახარჯვათ უნდა ჩაითვალოს, რადგან თებერვლის სხდომის შემდეგ არაფერი შეცვლილა და ამიტომ ხედმეტია ახალ დადგენილებაზე ლაპარაკი.

პიკსი (ინგლისი) ხაზს უსვამს I დეკემბრის თათბირის შეგობრულ ხასიათს ამ თათბირზე ნათელი გახდა, რომ ინგლისელებს სრულიადაც არ აქვთ აზრათ დაუკავშირდნენ «უმცირესობათა, მოძრაობას» ან წითელ პროფინტერს. თუ ამისდა მიუხედავად ინგლისელი ამხანაგები რუსებთან მოლაპარაკებას იცავენ, ეს იმიტომ, სხვათა შორის, რომ საერთაშორისო სინდიკალურ ფედერაციას მათიშიშის საბუთი არ აქვს და შეუძლია თავის მართალ საქმეზე დაყრდნობილმა აწარმოოს მოლაპარაკება. ინგლისელ ამხანაგებს სწამთ რუსების პატიოსნება და რომ მათ ეს რწმენა გაუტრუფდესთ, ისინი პირველნი მოუღებენ ბოლოს ასეთ მანევრებს. პიკსი ფიქმენტან ერთად შემოაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

«საერთაშორისო სინდიკალური ფედერაცია მზათა შეხედვს სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლებს რუსულ პროფკავშირების ფედერაციაში შემოსვლის შესაძლებლობაზე მოსალაპარაკებლათ.»

ბრაუნი (ინგლისელი, მდივანი ამსტერდამის ინტერნაციონალის) უერთდება ამ შეხედულებას და ხაზს უსვამს, რომ საჭიროა დაკულ იქნას ვენის კონგრესის დადგენილება, რომელიც გარკვეულად ამბობს, რომ ყოვნაფრესი წინადადება აძლევს ბიუროს განაგრძოს თავისი ცდა რუსულ პროფკავშირების შემოერთების მისაღწევათ». ბრაუნი უმატებს ამ უკანასკნელ თავის აზრს ზევით მოყვანილ რეზოლიუციის ტექსტს, შემოტანილს პიკსის მიერ.

მეორე მხრით პოლანდიელმა სტენჰუისმა შემოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

«გაცნო რა კომიტეტის უკანასკნელი სხდომის შემდეგ რუსებთან წარმოებულ მიწერ-მოწერას და მიიღო რა მხედველობაში დისკუსია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ სხდომაზე, საერთაშორისო სინდიკალური ფედერაციის კომიტეტი ადასტურებს თებერვალში მიღებულ დადგენილებას და ზედმეტად სთვლის ახალი რეზოლიუციის გამოტანას.»

ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა 14 ხმით 7 წინააღმდეგ.

წინააღმდეგ მისცეს ხმა: ინგლისელებთან ერთად ფიქმენა და იაკობენმა.

პიკს-ფიქმენის რეზოლიუციისათვის კენჭი აღარ უყრიათ.

ახალგაზნდა ხეციალისტთა ინტერნაციონალი.

მარსელში 21 აგვისტოს, სწორედ სოციალისტურ ინტერნაციონალის კონგრესის წინ შესდგა ახალგაზნდა სოციალისტთა ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრო ავსტრიის, ბელგიის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის, ფინლიანდიის, ჩეხოსლოვაკელ გერმანელების, ლიტვის, პოლანდიის, შვეციის, ნორვეგიის, დანიის და საქართველოს ახალგაზნდა სოციალისტთა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დღიურ წესრიგს შეიცავდა შემდეგი კითხვები:

1. სეკრეტარიტის მოხსენება, 2. მოხსენება ახალგაზნდა მუშათა კანონმდებლობის კომიტეტის, 3. მოხსენება მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 4. მოხსენება 1926 წელს ამსტერდამში საერთაშორისო შეხვედრის მოწყობის შესახებ, 5. 1926 წლის კონგრესი ამსტერდამში და მისი დღიური წესრიგი, 6. საორგანიზაციო კითხვები.

1924 წლის I იანვრიდან 1925 წლის 30 ივნისამდე ბიუროს მოღვაწეობაში შემდეგი ფაქტები უნდა აღინიშნას:

1. 1925 წელს იანვარში გაიმართა პოლანდიაში სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შეხვედრა და ზოგიერთ მნიშვნელოვან პრინციპიალურ კითხვებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამ შეხვედრას დაესწრო 24 დელეგატი, მის მიზანს შეადგენდა—ხელმძღვანელთა შორის ინტიმური დაახლოება და საერთო იდეური საფუძვლის შექმნა მომავლისათვის. ასეთი შეხვედრები პერიოდულად მოხდება, შემდეგი იქნება 1926 წლის დამლევს ვენაში, სადაც გაირჩევა სპეციალურად ეროვნული საკითხი.

2. მეორე დიდმნიშვნელოვან ფაქტს შეადგენს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მოწყობა 1924 წლის ენკენისთვეში, რომელშიაც ყველგან მუშებმა მასიური მონაწილეობა მიიღეს.

3. გამომხაურება სხვადასხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებზე, როგორც იყო მატეოტის მოკვლა, სოლოვეცი კუნძულებზე მომხდარი ამბები და სხვ. რაც შეეხება საქართველოს, აჯანყების დროს გამოქვეყნდა წერილი, რომელშიაც მზურვალე თანაგრძობა იყო გამოთქმული ქართველი ხალხისადმი და პროტესტი ბოლშევიკების ბარბაროსობის წინააღმდეგ; დაიბეჭდა პირველ გვერდზე და დაეგზავნა ყველა ორგანიზაციებს საქართველოს ახალგაზდა მარქსისტთა მიმართვა ინტერნაციონალისადმი. კერძოდ ჩვენ ორგანიზაციის წარმომადგენლობას უცხოეთში მოუვიდა თანაგრძობის წერილი, რომელშიაც ბიურო უძღვნიდა ჩვენს ორგანიზაციებს სალამს და აღთქმას, რომ ახალგაზდათა ინტერნაციონალი ყოველივე ხელმისაწვდენ ზომას იხმარს ქართველი ამხანაგების დასახმარებლათ. ბიურო გამოეხმაურა აგრეთვე მარჯოს ამბებს.

4. გამოდის ყოველთვიურათ ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალის ორგანო, სადაც იბეჭდება ინფორმაცია და წერილები ახალგაზდათა მოძრაობის შესახებ მსოფლიოში.

არსებობს მკიდრო კავშირი მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალთან და მის ორგანოებთან. ახალგაზდების წარმომადგენლობა მუშ. სოც. ინტერნაციონალის აღმასრ. კომიტეტში დაკისრებული აქვს კარლ ჰაინცს—(ავსტრიელი ამხანაგი), ხოლო დიდების წარმომადგენლობა ახალგაზდების წინაშე გერმანელ ამხანაგს, არტურ კრისპიგენს.

ახალგაზდათა ინტერნაციონალი შეიცავს 30 ორგანიზაციას 25 ქვეყნიდან; წევრთა რიცხვი დაახლოებით 250.000-ს უდრის; ფაქტიურათ კი ინტერნაციონალის მორალური და პოლიტიკური გავლენა ამაზე ბევრათ უფრო ფართოა. მილიტარიზმთან ბრძოლის შესახებ მოხსენება გააკეთა პარელმა. ის შეეხა ახალგაზდობის ზავისათვის აღზრდის პრობლემას. მოკლე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს მუშათა ინტერნაციონალს ენერგიული ბრძოლა აწარმოოს მილიტარისტულ იდეოლოგიის წინააღმდეგ და გამოსთქვამს დაპირებას, რომ ახალგაზდობა მას მთელი თავისი ენერგიით ამ ბრძოლაში მხარს დაუჭერს.

მომავალ წლის ახალგაზდა სოციალისტთა საერთაშორისო დღესასწაულის მოწყობის შესახებ ამსტერდამში მოხსენება წაიკითხა ფორინგმა. ყოველი ზომა უნდა იყოს მიღებული, რომ ამ დღესასწაულს, რომელიც დიდი დემონსტრაცია უნდა იქნეს საერთაშორისო მშვიდობაობისა და სოციალიზმის, დაესწარს რაც შეიძლება მეტი ხალხი. სტუმრები მოთავსებული იქნებიან კარვებში; სხვადასხვა ერის ახალგაზდები ერთი კვირის განმავლობაში იცხოვრებენ ერთათ, ერთ ჭერ ქვეშ. უნდა შეიქნეს ნამდვილი მეგობრობა, ძმობა, საერთო სული, აზროვნება, მისწრაფება. ერთმანეთ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ერთათ სიარული, ჭამა-სმა, ლხინი, სიმღერა და ცეკვა, ერთ საღამოს თვითმული ეროვნული ჯგუფი თავის ეროვნულ კულტურის ნიმუშს წარმოადგენს და შემდეგ მთელი ხალხი ჩირაღდებით ხელში გაივლის პოლანდიის სატახტო ქალაქის ქუჩებში ინტერნაციონალის სიმღერით... ახლავე ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა შეუდგენ მხადებას. ეს იქნება დიდი დღესასწაული, წინამორბედი და სიმბოლო მომავალ სოციალურ ერთობის...

ჩვენც, ქართველებმა, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ სათანადო მონაწილეობა მივიღოთ ამ დღესასწაულში.

მას მოჰყვება 29 მაისს ახალგაზდა ინტერნაციონალის მეორე კონგრესი.

აღმასრულებელ კომიტეტმა გააჩიოა აგრეთვე რამოდენიმე საორგანიზაციო კითხვა. მიღებულ იქნა ინტერნაციონალში ახლათ შექმნილი ორგანიზაციები: ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ახალგაზდობა, უნგრეთის ახალგაზდა სოციალისტთა ორგანიზაცია, პოლონეთის ახალგაზდა მუშათა კავშირი.

მარსელის სხდომას, რომელიც ერთ დღეს გაგრძელდა, მეტის-მეტათ ერთსულოვანი და მეგობრული ხასიათი ჰქონდა, მისი რეზოლიუციები ცხოვრებაში გატარდება და ნაყოფს გამოიტანს. ის ხელშეუწყობს ახალგაზდობის მორალურ ზრდას, მის მამხადებას დიდ მომავალ ბრძოლისათვის.

კომუნისტებს არ მოსწონთ ეს მუშაობა. ისინი ჩვეულებრივი გინებით იხსენიებენ ახალგაზდათა ინტერნაციონალს. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყოველთვის, როდესაც ინტერნაციონალი იკრიბება, ისინი მიმართავენ მას «მთლიანი ფრონტის» შედგენის წინადადებით. მარსელშიაც ამგვარი წინადადება გადმოგვეცეს აღმასრულებელ კომიტე-

ტის სხდომის მეორე დღეს; ინტერნაციონალის ბიურომ მხოლოდ ორი თვის შემდეგ გასცა მათ პასუხი. დაჩქარება საქირით არ იქნა მიჩნეული.

სხვათა შორის როდესაც ჩვენი ამხანაგები ლაპარაკობდნენ, თუ რა პასუხი გავცეს ამაზე, ერთი ჩვენი გერმანული ამხანაგი სიცილით ამბობდა: «საერთო ფრანტი კარგი საქმეა, მიემართოთ კომუნისტებს—ჩვენთან ერთათ საერთო ფრანტი შეადგინონ აგრეთვე რუსეთის მთავრობის ბარბაროსულ ტერორის წინააღმდეგ საქართველოში და რუსეთში!».

ახალგაზნადა სოციალისტთა ინტერნაციონალის მდივანი ერიხ ოლენშაუერი, ოფიციალურ პასუხში ნათლათ არკვევს, თუ რა დემოკრატიული მიზნით არის შედგენილი კომუნისტების მოწოდება, თუ რა დიდ ბრძოლას აწარმოებენ ფაქტიურათ სოციალისტები და კერძოთ ახალგაზნადები მილიტარიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ახალგაზნადა მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, რეაქციის და ტერორის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც კომუნისტები მხოლოდ გრძელ მოწოდებებს სწერენ. ის ხაზს უსვამს, თუ რა ღირებულების უნდა იყოს იმ ხალხის მიერ პროფესიონალურ კავშირების გაერთიანების შესახებ ლაპარაკი, რომელიც აქამდე მთელი თავისი ენერგიით ამ კავშირების მთლიანობის დარღვევისათვის მუშაობდა. რაც შეეხება რუსეთში დელეგაციის გაგზავნის კითხვას, ის თანახმაა ამაზე, მაგრამ დასძენს, რომ თუ კომუნისტებს გულწრფელათ სურთ რუსეთზე სიმართლე გააგებინონ ევროპის ახალგაზნადებს, მათ უნდა შემდეგი პირობები პირნათლათ შეასრულონ: 1. დელეგაციას ნიშნავს თვით ახალგაზნადა სოციალისტების ინტერნაციონალი და მასთან კავშირებზელი ორგანიზაციები. 2) ასევე ხდება მთარგმნელის დანიშვნა. 3) სოციალისტური დელეგაცია თვით ირჩევს მარშრუტს მოგზაურობისას რუსეთში და ადგენს მის მუშაობის გეგმას. გარანტია მათი ხელშეუხებლობის. სრული თავისუფლება შეხვედრის და ლაპარაკის ყველასთან. ვისთანაც დელეგაციას სურს, კერძოთ ციხეში მყოფ ამხანაგებთან. 4. ანგარიშებს აქვეყნებს ამ მოგზაურობის შესახებ მხოლოდ დელეგაცია. ოლენშაუერი ელის პასუხს ამ წინადადებებზე, თუმცა კარგათ იცის, რომ ის მიუღებელია კომუნისტებისათვის, რომელთაც საბჭოთა ქვეყნებზე სიმართლის გამქდვენების ყველაზე უფრო ეშინიათ.

ოლენშაუერი თავის პასუხს ათავებს გაფრთხილებით: «ჩვენ ვაცხადებთ ერთხელ და სამუდამოთ, რომ მოამადონი ჩვენ კომუნისტების წინააღმდეგებ უპასუხოთ დავტოვებთ, თუ დაინახავთ ფარმის თუ შინაარსის მხრით, რომ ის გამოწვეულია არა სინდისიერ მისწრაფებით ახალგაზნადა მუშათა მდგომარეობა გაუმჯობესოს ან და სოციალისტურ მოძრაობის პროგრესს ემსახურონ, არამედ მიმართულია, როგორც აქამდის, მხოლოდ იმისაკენ, რომ ცილისწამების და პირმოთენობის საშუალებით მოსკოვის მთავრობა გააძლიერონ, მუშათა მოძრაობა დაქსაქსონ და მუშათა პოზიციები რეაქციასთან ბრძოლაში დაასუსტონ».

ეს არის სოციალისტების პასუხი, ნათელი, გულწრფელი, ენერგიული, ღირსეული. ახალგაზნადათა სოციალისტური ინტერნაციონალის იდეალია—წინებობრივი და ინტელექტუალური აღზრდა ახალგაზნადობის. სოციალიზმი არ ნიშნავს მხოლოდ ახალ ეკონომიურ სისტემას, ახალ სოციალურ წესს. სოციალიზმი უპირველეს ყოვლისა არის ახალი მორალური კულტურა. ის ემყარება ახალ ადამიანს, ახალ მორალურ პიროვნებას. ამ ახალ მორალურ პიროვნებისათვის მუშაობს და იბრძვის ევროპის ახალგაზნადა პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი ინტერნაციონალი.

მ. ხუნდაძე.

ჩიხვრინის ნადიში და ამხ. რენდელი.

საბჭოთა საგარეო კომისარი ევროპაში დასეირნობდა, გულში ლოკარონს ჩაშლა და ევროპის თავის ყაიდაზე გადაჯგუფება ედვა, მარა თვით მოუხდა გადაჯდომ-გადმოჯდომა: პოლონეთს თვალი უყო, შტრეზემანს წარბი აჩვენა, ბრიანს მიუღლერსა მარა ამოთ. ყველგან აგრძნობინეს, რომ რუსეთი დიდია, მარა ჩიხვრინი პატარა და მისი ჩხირკედლობა უნაყოფო.

ბოლოს რაკოსკი მიეშველა და საზოგადოებრივი აზრის შექმნით საქმის გამობრუნება მოინდომეს. გაიმართა დიდი ზეიმი. მოიწვიეს მთელი საზოგადოების ნადები.

ბურჟუები და «გამყიდველი» სოციალისტები, გრაფები და რადიკალები, ბანკირები და კომუნისტები. შეიქნა სმა-ჰამა «მუშურ-გლენური» ხაზინის ხარჯზე.

მოვიდენ, რასაკვირველია, მსოფლიოს დანაპურები კაშენი და ვიან კუტიურთ, ამოუდგენ გვერდში საყენკის მომლოდინე ბანკირებს და კაპიტალისტებს და მათთან ერთად სანადიმო სუფრას შემოუსდენ: იცენეს და გაიცენეს ერთმანეთი, ისიამუშო და იმხიარულეს. მხოლოდ დახეთ უბედობას. არ ჩანდა ერთი და პენლევე, ოფიციალური საფრანგეთი მეორე ხარისხიდან პირების წარგზავნით დაკმაყოფილდა: თქვენ ინადიმეთ, თვითონ კი ზოგი «უღონათ» შეიქნენ, ზოგს სხვაგან მიიქარებოდა. არსად ჩანდენ არც სოციალისტები: ყველა ლიდერი დაპატიჟეს და არც ერთი არ გამოცხადდა.

ამათაც თავის მიზნებ ქონდათ მოუსვლელიობის და ეს ამხ. რენოდელმა თავის წერილში მკაფიოდ გამოთქვა. მოგვყავს ეს წერილი საცხებიტ:

16 დეკემბერი 1925 წ.

ბ. ჩ ი ჩ ე რ ი ნ ს

ს. ს. რ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს.

თქვენო აღმატებულება!

მე, რასაკვირველია, დიდატ ნასიამოვნები ვარ იმ მოწვევით, რომელიც თქვენ ინებთ ჩემთვის გამოგვგზავნათ შაბათს 12 დეკემბერს.

სამწუხაროთ, მე ეს მოწვევა გავიგე მხოლოდ შემდეგ ჩემი დაბრუნებისა იმ მუშებთან და გლენებთან მოგზაურობისაგან, რომელთაც მე საფრანგეთის პარლამენტში ამირჩიეს. უკვე გვიან იყო იმისთვის, რომ დროზე მეცნობებია თქვენთვის ჩემი პასუხი, როგორც ეს იყო ნაჩვენები მოსაწვევე ბარათში.

ყოველი თავაზიანობა ღირსია თავაზიანი პასუხის. მე მსურს ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე და ამავე დროს აღენიშნო, რომ ძნელია ასეთ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება ფრანგ სოციალისტისათვის, რომელმაც იცის, რომ სოციალისტები, რომელნიც მასთან ერთ და იმავე ინტერნაციონალს ეკუთვნიან, იძულებული ხდებიან შიმშილობა გამოაცხადონ, ანდა ციმბირში იგზავნებიან, როგორც ეს მოუვიდა ტიმოფევეს, დევიატკინს და ზოგიერთ სხვებს.

მართა გთხოვთ მერწმუნოთ, რომ ჩემი უარი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს უყურადღებობას რუსეთის დიდი ხალხისადმი, რომელსაც, როგორც ვიცით, ბევრი ტანჯვა აუტანია თავისუფლებისა და ერთა შორის მშვიდობიანობის საქმისთვის.

მიიღეთ, თქვენო აღმატებულება, ჩემი სოციალისტური სალამი

რენოდელი.

«მოსყიდულმა» სოციალისტებმა მჩაგვრელთა ბანაკში არჩიეს, ხოლო «მოუსყიდველმა» კომუნისტებმა... ბანკირებთან.

ყველამ იპოვა თავის ქანდარა...

და დ ლ უ ბ უ ლ ა მ ს ა ნ ა გ ე მ ს !

ყოველ განმათავისუფლებელ მოძრაობას ახსიათებდა ახალგაზდობის მხურვალე მონაწილეობა.

საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველი ახალგაზდობა განსაკუთრებულის ენერგიით და მხნეობით არის ჩაბმული. ის ვერ მოსტეხა ჩეკის წამებამ, ვერც ციხემ, ვერც გადასახლებამ და დახერეტამ. მას შალდა უჭირავს თავისუფლების დროში. და გასულ წელს, როდესაც ქართველი ერი იარალიტ გამოვიდა, ახალგაზდობა მოწინავე რიგებში იდგა. ბევრი მათგანი დაეცა ამ უსწორო ბრძოლაში და თან ჩაიტანა საფლავში მშობელი ერის და დემოკრატიის უსაზღვრო სიყვარული.

რომელი მათგანი მოვიხსენიო, რომელი დაღუპული ახალგაზდა მებრძოლის საქმიანობა აღენიშნო, ან და რამდენი მათგანის თუნდა მარტო გვარები დავასახელო? ეს შეუძლებელია ჩვენს პირობებში, მით უმეტეს, რომ ჯერაც არ არის საცხებიტ გამოარკვეული დაღუპულ მებრძოლთა რიცხვი და ვინაობა. აქ დავასახელებთ მხოლოდ რამოდენიმე პირს, უმეტესათ მოზარდი სოც.-დემოკრატიის მოწინავე ნაწილიდან. დანარჩენი მომავლის საქმეა. განსაკუთრებით კი ქართველი ერის განმათავისუფლებელ

მოდრაობის ისტორიის, რომელიც საუკეთესო ადგილს მიუძღვნის დალუპულ მებრძოლთა ძოლთა წმინდა ხსოვნას.

1. პეტრე დოლიძე 24 წ. სახ. უნივერსიტეტის ეკონომიურ დარგის სტუდენტი უკმნასკნელი კურსის. ძველი სოც.-დემოკრატის შვილი. თავიდანვე ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრი. ნიჟიერი და მომზადებული ახალგაზდა. დამოუკიდებლობის დროს მუშაობდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ გურიაში და ბოლოს თფილისში და ყოველგან ახალგაზდათა ერთ-ერთ ხელმძღვანელათ ითვლებოდა. საქართველოს დაპყრობის შემდეგ მუშაობს აღმოსავლეთ გურიაში როგორც ახალგაზდებში, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში. აქიდანვე იგზავნება დღევანდელ სრულიათ საქართველოს ახალგაზდა მარქ. ორგანიზაციის კონფერენციებზე 1921 წელს. რამდენჯერმე დაატუსაღეს ჩეკისტებმა, ერთხელ გაქცევაც კი მოახერხა ჩეკის კლანჭებიდან. მეორეთ თფილისის ჩეკაში იჯდა რამდენიმე თვე, საიდანაც საშინელი წამების შემდეგ განათავისუფლეს. მაგრამ აუკრძალეს გურიაში დაბრუნება. ის წავიდა ბათუმში და იქ აგრძელებდა მუშაობას. 1922 წლის სექტემბრიდან ბრუნდება თბილისში და იწყებს მუშაობას უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. ამ ხანიდან ის უკვე არალეგალურათ ცხოვრობს. 1923 წლამდე, როცა ზაფხულზე ატუსაღებენ და ერთი თვით ჩეკის სარდაფში ამწყვედვენ და შემდეგ კი გადაჰყვანენ მეტეხში. სწორეთ ამ დროს ხდებოდა ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის ეგრეთწოდებული «სალიკვიდაცო კონფერენცია». ციხეში მყოფი ამხანაგები მას ავალებენ ამ კონფერენციებზე დასწრებას და მის ხელმძღვანელების წინააღმდეგ გამოსვლას. ის ამ მისთვის მეტათ სასიფათო წინადადებებს სიამოვნებით ღებულობს. მისი პროლოდენი გამოსვლა ამ კონფერენციებზე, რომელსაც მისი სულის ჩამდგმელი პოლოვკატორი ს. ცინცაძე თავმჯდომარეობდა, ძლიერ გავლენას ახდენს ძალით მოყვანილ დღევანდებზე, სტყდება ერთი აურ-ზაური, დღევანდები ერთმანეთს ერევიან. მოპატიუებული ჩეკისტები კარებს უკეტვენ. ის მაინც ათავებს სიტყვას და ამ აყალ-მყალში გაპარვასაც ასწრებს. ამ დღიდან ის კვლავ არალეგალურათ ცხოვრობს და განაგრძობს ენერგიულ მუშაობას სტუდენტთა შორის. 1924 წლის გაზაფხულზე დაკარგა მოხუცებული მამა, ძველი სოც.-დემოკრატი, ფერშალი ალექსანდრე დოლიძე, კარგათ ცნობილი აღმოსავლეთ გურიაში და ის, როგორც არალეგალურათ მომუშავე, ვერ ესწრება მის დასაფლავებას. უკანასკნელათ მას ატუსაღებენ ამავე წლის ზაფხულზე. გაბრაზებული ჩეკა საშინელათ აწამებს მას და სრულიათ დაავითმყოფებული გადაყავთ საგუბერნიო ციხის საყადმყოფოში. აქედან მძიმე ავითმყოფი გაიყვანეს ჯალათებმა აჯანყების დღებში სხვა ამხანაგებთან ერთად საუკეთესო ქართველების სასაკლაოზე.

2. გერასიმე ფირცხალაძე 22 წ. სტუდენტი. ბათუმელი მუშის შვილი. მამაბი 1903 წელ. მოკლეს კახაკებმა მუშთა დემონსტრაციის დროს. ობლობაში სიმწრით და ვეებით გამოხდილი. ის 15 წლიდან ბათუმის ახალგაზდა მარქს. ორგანიზაციის აქტიური წევრი შეიქნა. საქართველოს დაპყრობიდან კი ახალგაზდათა მოძრაობის ერთი საუკეთესო მონაწილე და ხელმძღვანელთა და დაუხარებელი მუშაკი იყო. 1922 წლის გაზაფხულამდე მუშაობდა ბათუმში ადგილობრივ ახალგაზდა მარქს. ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში. მისი უმუშალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით საუცხოვრო იქნა ჩატარებული რამდენიმე საპროტესტო დემონსტრაცია მოსწავლე ახალგაზდობისა საოკუპაციო მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო მას დევნა დაუწყეს და იძულებული გახდა თფილისში გადასულიყო სამუშაოთ. მუშაობდა მესამე რაიონის კოლექტივთან, სადაც მისი მისვლისთანავე მუშაობა უფრო გაცხოველდა ამავე წლის ოქტომბერში ის დაატუსაღეს, აწამეს და შემდეგ მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. აქ დაჰყო 1924 წლის იანვრამდე. ციხეში ყოფნის დროსაც მას, როგორც მტკიცე და გაუტეხელ ახალგაზდას, ამხანაგები მეტათ სასიფათო საქმეს ანდობენ. ამ დავალებას ის სრულის სიმშვიდით და გასაოცარის ხერხით ასრულებდა. ციხიდან გამოსვლისთანავე კვლავ ებმება მუშაობაში. მეორეთ მას ატუსაღებენ ახს. გოგიტა ფლავასთან ერთად. ჩეკა გაბრაზებული მისი მოუსვენრობით ხუთი წლით გადასახლებას უსჯის ციხე გუბერნიებში. ის ამას სრული სიმშვიდით ხელებდა, მაგრამ აჯანყება ისევ ციხეში უსწრებს და ის მსხვერპლი ხდება ჩეკის ბოროტი განზრახვის, სხვებთან ერთად მასაც უსპობენ სიცოცხლეს.

3. გიორგი ჯანელიძე 23 წლის. სახელმ. უნივერს. ეკონომიური დარგის მე-3 კურსის სტუდენტი. რკინის-გზელი მუშის, ძველი სოც.-დემოკრატის, შვილი, მამის ერ-

თა, ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრი, მომზადებული ახალგაზდა და საუკეთესო მუშაკი, კარგათ ცნობილი თფილისის ახალგაზდობაში. პირველი რაიონის ორგანიზაციის ერთი ხელმძღვანელთაგანი, პირველათ დაატუსაღეს 1922 წლის მაისში ახალგაზდობის გამოსვლების მოწაწილეობისა და ხელმძღვანელობისთვის. ციხეში დაპყრო სრული ერთი წელი. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ხელახლათ აგრძელებს მუშაობას და მალე თფილისის კომიტეტის წევრათ ირჩევენ. მუშაობს არალეგალურათ. აჯანყების წინ ერთი თვით ადრე დაატუსაღეს და აჯანყების დღეებში გამოასალმეს წუთისოფელს.

4. ფოკა კეკელიძე 22 წლის, სტუდენტი. ღარიბი გლეხის შვილი, ობლობაში აღზრდილი. ახალგაზდა ნიჭიერი პოეტი, (სწერდა ფოთოლის ფსევდონიმით) კარგათ განვითარებული და მომზადებული ახალგაზდა, კარგათ ცნობილი იყო გურიის ახალგაზდობაში. დაატუსაღეს 1922 წლის ავგისტოში. არაფერთი არ მოხერხდა. მისი იქიდან დასხნა, რადგანაც ის სასტიკი დაბეჭდებით გაისტუმრა ოზურგეთის ჩეკაში თფილისში, როგორც ენერგიული და მათთვის მეტათ სამში რევოლუციონერი. ორჯერ გაათავა მიცემული სასჯელის ვადა, მაგრამ ჩეკა მას მაინც არ ათავისუფლებდა, მიუხედავათ იმისა, რომ მისი ჯანმრთელობა ხანგრძლივი ციხეში ჯდომით და ათას გვარი გაკვივრებით სრულიათ მოიშალა. მიმე ავათმყოფი გაიყვანეს გამხეცებულმა ჯალათებმა და დახვრიტეს იგიც აჯანყების დღეებში.

5. იუსტინე (ნიკო) შარაშიძე 24 წლის. სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ დარგის სტუდენტი. ღარიბი დედ-მამის შვილი. გიმნაზიის მეხუთე კლასიდან, ახალ. მარქს. ორგანიზ. წევრი, ჩუმი და საუკეთესო მუშაკი... მოწაწეობის დროს ქუთაისში მუშაობდა და ითვლებოდა ჩვენი ორგანიზაციის ერთ აქტიურ წევრათ. გიმნაზიის დათავების შემდეგ მსახურებდა ჯარში და თითქმის რესპუბლიკის ყველა ომებში იღებდა მონაწილეობას. გასაოცარ სიმტკიცეს და სიმამაცეს იჩენდა ყველგან, განსაკუთრებით უკანასკნელ ომში ბოლშევიკებთან. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჯარიდან დაბრუნებული უნივერსიტეტში შედის თფილისში სწავლის გასაგრძობათ და მალე ებმება რევოლუციურ მუშაობაში. 1921 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტს სტოვებს სიღარიბის გამო და მასწავლებლათ მიდის ზემო-სურებში. აქაც არ სტოვებს პარტიულ მუშაობას, ხელმძღვანელობს სხვა ამხანაგებთან ერთათ ჩვენ ორგანიზაციებს მთელ აღმოსავლეთ გურიასში. 1922 წლის შემოდგომიდან კვლავ უნივერსიტეტში ბრუნდება და აგრონომიული დარგის ახალგაზდა მარქს. ორგანიზაციის ხელმძღვანელ სამეულის წევრათ ირჩევენ. აქაც საუცხოო უნარს იჩენს და სულ მალე მთელი დარგის სტუდენტობის შეკავშირებას ახერხებს. შემოდგომის გასულს მას ატუსაღებენ და საშინლათ აწამებენ ვატეხის მიზნით, მაგრამ ის ურყევათ და მტკიცეთ ხვდება ჩეკის ჯალათებს. წამებიდან რომ ვერაფერი გამოუვიდათ, სრული სამ თვე ჰყავდათ ერთ პატარა საკანში ვილაც პროვოკატორ სომეხთან ერთად, რომელიც ცდილობდა რაიმე გამოეტყუებია, მაგრამ უშედეგოთ. ამის შემდეგ კიდევ დიდი ხანი ყავდათ ჩეკაში და ბოლოს დაავათმყოფებული გადაიყვანეს საგუბერნიო ციხის საავათმყოფოში და იქიდან—მეტეხში. 1924 წლის იანვარში გაანთავისუფლეს სხვა ამხანაგებთან ერთად და გამოსვლის უმალ შეუდგა მუშაობას ჯერ თფილისში და შემდეგ ქუთაურაში. აქ აჯანყების დროს ის ახალგაზდათა ერთ-ერთი მეტბოლი რაზმის ხელმძღვანელი იყო და მსურვალე მოწაწილეობას იღებდა გამოსვლებში. ქუთაურის დაცემისას მტერთან შეტაკების დროს ის ტყვეთ ჩაუვარდა ხელში ბოლშევიკებს, რადგანაც უკანასკნელ წუთამდე არ დაანება თავი ბრძოლას. ამ თავის გულადობის და სიმამაცის მსხვერპლი გახდა ამხ. იუსტინე. ვინც კი გამხეცებულ ბოლშევიკებს პირველ დღეებში ხელში ჩაუვარდა ქუთაურა-საჩხერეში, განურჩევლათ იმისა, იღებდა თუ არა მონაწილეობას აჯანყებაში, სულ ყველანი (დაახლოებით 200 კაცამდე), უმეტესობა რასაკვირველია, მალაროს მუშები და გლეხები, გასტუმრებულ იქნენ ზესტაფონში დასახვრეტათ ბ-ნ ტლაუხაძის და ალ. ფეშაძის განკარგულებით, რომელიც ამას წინათ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სასამართლოს თავმჯდომარეობდა. ზესტაფონის ახლოს ღამის სამ საათზე ვაგონებში ჩამწყვედულ ტუსაღებს დაუშინეს ტყვიის-მფრქვეველები ჩეკის საგანგებო ბათალიონის ჯარის-კაცებმა. საშინელი სასომისდილი წვილი ერთი მხრით და «დიდების» გუგუნე მეორე მხრით—ერთმანეთში ირეოდა; ტყვიის-მფრქვეველი კი განაგრძობდა სასიკვდილო კაცანს. დახოცილნი ნიაღვარის თხრილებში ჩაპყარეს და ისე მიატოვეს. რამოდენიმე დღის შემდეგ მახლობე.

ლი სოფლების გლეხებმა დააყარეს მიწა უკვე გახრწნილ გვამებს. მათ შორის იყო აშხ. იუსტინეს გვამიც...

6. პავლე სვანიძე, 24 წლ. სახელმწიფო უნივერსიტ. სტუდენტი. განვითარებული და მეტათ ნიჭიერი ახალგაზდა. კარგათ ცნობილი ქუთაისის ახალგაზდობაში, როგორც ახალგაზდა მარქსისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. მუშაობდა ჯერ ქუთაისში და შემდეგ თფილისში როგორც უნივერსიტეტის სტუდენტში, ისე სხვა და სხვა მუშათა რაიონებში. უკანასკნელათ ჩვენი ორგანიზაციის თფილისის კომიტეტის თავმჯდომარე იყო და ცეკასთან დაახლოებული. რამოდენიმეჯერ დატუსაღებული იქნა, მაგრამ ყოველთვის მალე ახერხებდა თავის განთავისუფლებას. უკანასკნელათ დაატუსაღეს 1924 წლის თებერვალში, მაშინ უკვე არალეგალურათ ცხოვრობდა. ამის შემდეგ ხან ჩეკაშია და ხან ციხეში. აჯანყებაც ციხეში უსწარებს და ისიც მსხვერპლი ხდება ბოლშევიკ ჯალათების.

7. კოწიკა სამყურაშვილი, 26 წლის. სახელმწ. უნივერსიტეტის სტუდენტი. ჭიათურის მალაროს მუშის, ძველი სოც.-დემოკრატის, შვილი, მომზადებული და პარტიულ მუშაობაში გაწვრთნილი ახალგაზდა, ახალ. მარქ. ორგანიზაციის აქტიური წევრი. საქართველოს დაპყრობის პირველ წლებში თფილისში მუშაობს, როგორც ახალგაზდებში, ისე მუშათა წრეებში. აქ დევნას უწყებენ და მიდის ჭიათურაში მალაროს მუშებში სამუშაოთ. აქ თითქმის სრული ორი წელი არალეგალურათ ცხოვრობდა, რადგან ჩეკა დასაჭერათ ეძებდა. აჯანყების დროს იარაღით ხელში მებრძოლ აშხანაგების რიგებშია თავის მოხუც მამასთან ერთად, ორივე ერთათ ჩაუვარდა გამხცეცხვულ მტერს ხელში ტყვეთ და ორთავეს ერთად ისტუმრებენ ზესტაფონში იმ საშინელ ვაგონებში, სადაც 200 სხვა ტყვეებთან ერთად უსპობენ სიცოცხლეს მოხუც მამას, ძველ რევოლიუციონერს. და მის შვილს, ახალგაზდა მებრძოლს...

8. ამბროსი ჭელიძე. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. თფილისის პირველ რაიონის ახალგ. მარქს. ორგანიზაციის წევრი და მისი ერთი ხელმძღვანელთაგანი, უკანასკნელათ ამავე ორგანიზაციის თფილისის კომიტეტის წევრი. საუკეთესო მუშაკი, მეტათ ენერგიული და მხნე ახალგაზდა. საშინელი დევნის მიუხედავათ ის ახერხებს თავის დიდხანს შენახვას და მხოლოთ ერთხელ 1924 წლის გაზაფხულის გასულს ჩავარდა ჩეკის ხელში. ჩეკიდან საშინლათ ნაწამები სულ რამდენიმე დღის გადაყვანილი იყო მეტეხში, როდესაც აჯანყება მოხდა. ის მაინც მსხვერპლი გახდა ბოლშევიკთა ვერაგობის.

9. ვანო ფხალაძე. ჭიათურის ტენიკუმის მოწაფე. ღარიბი გლეხის შვილი. დედ-მამით ობოლი. ზედმიწევნით ენერგიული და მეტათ მტკიცე ახალგაზდა. მარქსისტთა ორგანიზაციის ადგილობრივი კომიტეტის წევრი, მეტათ საპასუხისმგებლო სამუშაოებს ასრულებდა უმფროსი ამხანაგების დავალებით და ისეთის მოხერხებით, რომ პირდაპირ განცვიფრებაში მოყავდა ყველანი. მისი ენერგიული მუშაობის გამო აჯანყების წინათ თვეებში ადგილობრივი ახალგაზდა მარქს. ორგანიზაცია საუკეთესოთ ითვლებოდა, დიდ თემეტესობას მასში ახალგაზდა ქარხნის და მალაროს მუშები შეადგენდნენ. აჯანყების საშხადისის დროს მისი მუშაობა—პირდაპირ არა ჩვეულებრივი რამ იყო. მთელი დღეები და ღამეები სულ გაერთიანებული ქონდა და დალილობას ვერ შეამჩნევდი. ვიცოდი, რომ ის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის წევრი იყო, ამიტომ გამოსვლების წინათ დღით ვთხოვე იარაღი სხვისთვის გადაეცა და სხვა საქმე მიეღო შესასრულებლათ, მაგრამ ისეთი უკმაყოფილო თვალებით შემომხედა, რომ სიტყვის შეტრუნებაც კი ვერ გავუტყე. უკანასკნელათ გამოსვლების დღეს გათენებისათ ერთ-ერთ ტყეში ჩასაფრებულ რაზმში ვნახე იარაღით ხელში. ისეთი დათებული თვალები ჰქონდა, რომ ტანში ერთნეტელმა დამიარა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ ის აჯანყების პირველი მსხვერპლი გახდებოდა! ის მოწინავე ხაზზე იბრძოდა სხვა ამხანაგებთან ერთად ჭიათურის ალბის დროს და უკუქცეული მტრის გამოსროლილმა ტყვიამ მას პირველს გაუღო გული. ის მოკვდა გამარჯვების სრული იმედით, მოკვდა ბრძოლაში. ამით ის სხვა მსხვერპლებზე ბედნიერია. მაგრამ ჩვენ კი უძროლოთ დავეკარგეთ ასეთი ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზდა, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა.

10. ვასო კაპანაძე, 23 წლის, საელმწ. უნივერ. სტუდენტი საინჟინერო დარგის. ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის თბილისის მეორე რაიონის კოლექტივის წევრი და მეტათ ენერგიული და დაუზარებელი მუშაკი. კარგათ ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზდობაში და მათი ერთი საუკეთესო შემკავშირებელი ჩვე-



ნი ორგანიზაციის ირგვლივ. გასაბჭოების პირველ დღიდანვე ის ენერგიულ ბრძოლაში აწარმოებს დამპყრობელთა და «კომსომოლის» წინააღმდეგ. რამდენჯერმე ატუსაღებენ, მაგრამ ყოველთვის მალე აღწევს თავს ჩეკას და განაგრძობს მუშაობას ჩვეულებრივი უშიშროებით და გამბედაობით. როდესაც ჩეკამ ახალგაზდა მარქ. ორგანიზაციის «სალიკვიდაციო ბიურო» შექმნა პროვოკატორ—ცინცაძე-ლომთათიძისაგან (ამ უკანასკნელმა გასულ წელს თავი მოიკლა, ალბათ სინდისის ქენჯნის გამო) და სამი სხვა მათი დამქაშებიდან, ის ახერხებს ამ ბიუროში გაბრძოლას, ვითომც მეორე რაიონის წარმომადგენლათ იმ მიზნით, რომ გაიგოს მთელი მათი საქმიანობა. ის მართლაც ტყობილობს მთელ მათ საიდუმლოებას და რწმუნდება მათ აშკარა პროვოკატორობაში. ბ-ნი ს. ცინცაძე და მისი ამხანაგები აქეთკენ მოუწოდებენ მასაც, ე. ი. ამხანაგების გაცემისაკენ. ეს კი ვეღარ აიტანა მან და ერთ დღეს რამდენიმე ამხანაგთან ერთად თავს დაესხა ამ პროვოკატორებს, სცემა საშინლათ, მიღწე-მოღწეა მათი ბინა და წამოვიდა. მაგრამ მალე ჩეკამ დაატუსადა. ეს იყო 1923 წლის შემოდგომაზე. მას შემდეგ ის ციხიდან არ გამოშვებიათ, ხუთი წლით საკონცენტრაციო ბანაკში ცხოვრება ქონდა მისჯილი. მაგრამ გადასახლება ვერ მოასწრეს. აჯანყებამ იფეთქა, როცა ის ისევ მეტეხში იჯდა, და რასაკვირველია, ბოლშევიკების ჯალათების მსხვერპლი შეიქნა.

11. გრიშა კეკელიძე, 23 წლის, სტუდენტი. ერთი ენერგიული მუშაკი აღმოსავლეთ გურიის ახალგაზდობაში. ადგილობრივ ახალგ. მარქს. ორგანიზაციის ერთი ხელმძღვანელთაგანი. ატუსაღებენ 1922 წლის გაზაფხულზე და აზნაუნიან მეტეხის ციხეში. აქ დაჰყო ექვსი თვე. გამოსვლის შემდეგ ბრუნდება ისევ გურიაში და აგრძელებს მუშაობას, მაგრამ მალე დევნას უწყებენ და მიდის ქიათურაში, სადაც შედის სამსახურში. პარტიულ მუშაობას, რასაკვირველია არ ტოვებს. აკავშირებს უმთავრესათ მალაროების ახალგაზდა მუშებს და ნოქრებს და მათში დიდი გავლენითაც სარგებლობს. აქტიურ მონაწილეობას იღებს აჯანყებაში იარაღით ხელში თავის ამხანაგებთან ერთად. ტყვეთ უვარდება მტერს და ზესტაფონის საშინელ ვაგონებში ლევს სიოცხლეს ტყვეით განგმირული.

ჩვენ აღენიშნეთ კომუნისტთა სიმხეცის რამოდენიმე მაგალითი, მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი საუეთესო ახალგაზდები იმსხვერპლა ამით გარდა იმ საშინელმა რეჟიმმა, რომელიც მოსკოვის ჯალათებმა თავს მოახვია ქართველ ერს.—გიორგი მამალაძე, მიხეილ მეიფარინი, პარმენ სამხარაძე, ანანია სტურუა, შალვა ჩიტაიშვილი, კვატაშიძე და ბევრი სხვა წრფელი რევოლიუციონერები, თავის ერის და მუშათა კლასის მოტრფილენი უდროთ მოგეტაცა ქართველი ერის ჯალათებმა, უდროთ ჩაასვენა ცივსამარეში. მაგრამ დაღუპულ გმირთა ძვლებიდან ახალი მებრძოლნი გაიზრდებიან და მათ წმინდა საქმეს განაგრძობენ და დაავიჯინებენ.

ქართველი ერი მოწიწებით მოიხსენიებს მათ წმინდა სახელს და თავს მოიბრის მათ საფლავის წინაშე. ხოლო უკვდავება შემოსავს ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას. დ. ბერძენიძე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი .

ისევ სოლოვეცის კუნძულები. ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ზოგიერთი ჩვენი დატუსაღებული ამხანაგები, მათ შორის აფთონ წულაძე, ბოლშევიკებმა სოლოვეცის კუნძულზე გაგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკში. ეს კუნძული თეთრ ზღვებზე მდებარეობს და 9 თვის განმავლობაში მოწყვეტილია ზღვის გაყინვის გამო მთელ ქვეყნიერებას. იქ გამეფებულმა ველურმა სიმხეცემ და აუტანელ წამებამ პოლიტიკურ ტუსაღებისა ააღლევა მთელი ვეროპის საზოგადოებრივი აზრი და მოსკოვის კომისრები იძულებული იყვნენ იგი გაუქმებულათ გამოეცხადებიათ და იქ მყოფი პოლიტიკურები წამოეყვანათ. ესლა სჩანს ისევ განუახლებიათ ჩვენი ამხანაგებისათვის.

ტერორი გურიაში. ამ უკანასკნელ დროს, გურიას ხელახლა მიაქციეს თავის ვანსაკუთრებული ყურადღება. მოფერების და მოტყუების პოლიტიკა, რომელიც ფ. მანარაძის პირით ემცნო გურულებს, ნამდვილათ უსაშინელესი ტერორით დაგვირგინდა. აშვებულთა მთელი ბანდა გარეწარი კომუნისტების, რომელნიც სდევნიან ჩვენს ამხანაგებს, და თუ სადმე მოასწრეს, ტყვეით უმასპინძლებიან.

ლობენ, ღვინა, მკენის დამონაწე

პ არ ტ ი უ ლ ი ც ნ ო ვ რ ე მ ა .

რეზოლიუცია, მიღებული საქართველოს სოც.-დემ. მუშა პარტიის ოდენკურის ორგანიზაციის მიერ 1925 წლის 10 ნოემბერს აშხ. ვლასა მგელაძის მოხსენების გამო.

მოისმინა რა მოხსენება საქართველოდან ახლათ დაბრუნებული ლასა მგელაძისა, ოდენკურის სოც.-დემ ორგანიზაცია მზურვალეთ ესალმება საქართველოში მოქმედ სოც.-დემ. პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს. და აღვილობრივ ორგანიზაციებს, რომელთაც მიუხედავთ აუტანელი პირობებისა მაღლა უპყრობათ დროშა საქართველოს განთავისუფლებისა, დემოკრატიისა და სოციალიზმისა.

ორგანიზაცია აღიარებს, რომ ავგისტოს აჯანყების შემდეგ საბოლოოთ განმტკიცდა ქართველი ერის გადაწყვეტილება, არ შეუშინდეს არავითარ მსხვერპლს უცხო ოკუპაციის მოსახსნელათ.

ორგანიზაცია აღტაცებით ეგებება იმ ფაქტს, რომ ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობს სიტყვიით და საქმით სოც.-დემოკრატიული პარტია. ეს გარემოება აძლიერებს მის გავლენას ხალხის ფართო წრეებში, და მომავალში კიდევ უფრო გაუადვილებს ბრძოლას სოციალიზმის დასამყარებლათ.

ორგანიზაცია თავის მოვალეობათ რაცხს მიესალმოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც უცხოეთში დარაჯათ უდგას საქართველოს უფლებებს. და დამოუკიდებლობის აღდგენას მტკიცე ნიდაგს უმზადებს.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმით.

ორგანიზაციის მდივანი მიქ ქერძიძე.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე მ ა უ ც ნ ო ვ რ ე მ ი .

ქართველთა კოლონიის კრებამ ოდენკურში, რომელიც მოხდა 8 ნოემბერს და რომელსაც დაესწრო 80 კაცი,

მოისმინა რა საქართველოდან ახლათ დაბრუნებულ ვლასა მგელაძის მოხსენება, სინარულით ეგებება ცნობას, რომ ნება ქართველი ხალხისა თავისუფლებისაკენ მტკიცე და შეურყეველია,

რომ ეროვნული ფრონტი აჯანყების შემდეგ ფარდოვდება, მტკიცდება და მთლიანდება.

ესალმება პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც დარაჯათ უდგანან საქართველოს თავისუფლებებს და ხელმძღვანელობას უწყევნ ხალხს ბრძოლაში მოსკოვის ტირანიის მიერ ფეხქვეშ გათვლილ უფლებების აღსადგენათ;

ესალმება ეროვნულ მთავრობას, რომელიც საზღვარ-გარეთ დარაჯათ უდგას ქართველ ერის სუვერენულ უფლებებს,

აცხადებს, რომ მოწყვეტილი სამშობლოს, ის და მთელი ქართველი ემიგრაცია მასთან, სულით და გულით ქართველ ხალხთანაა, გაერთიანებული მასთან ერთი განცდით, გამსჭვალული ერთი მიზნით და აღფრთოვანებული ერთი იმედით, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ქართველი ხალხი დაამხვრევს უცხო დესპოტიის ბორკილებს და აღადგენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებებს!
ძირს მოსკოვის ტირანია!

რეზოლიუცია ერთხმით არის მიღებული.

Rédaction et Administration:

M-r. D. Charachidzé.

Le Gérant: G. - A. Bernard.

4. Impasse des Prêtres, Paris, 16.